ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 28 თებერვალი 2004 №44 (2063) | ფასი 50 თეთრი




## არის თუ არა ალენ ჟირესი ნაკრების მწვრთნელი? არის! იმეორებს მერაბ ჟორდანია. ერთხელაც ანატოლი ბიშოვეცის მერე

ინტერვიუ მერაბ ჟორდანიასთან იხილეთ მეორე გვერდზე



# ვისთვის გახურება, ვისთვის შეხურება

## რევოლუციამ ზედა და ქვედა ფენები დააახლოვა



დინამო — ვიტ ჯორჯია (მცხეთა) 3:0. რა ხანი გასულა– გიორგი ნემსაძეს დინამოსთვის ისევ გააქ





ამერი — ურიონი 2:0. მამუკა რუსიას მეორე გოლი



ტორპედო — გურია 5:0. მასპინძელმა სულიკო დავითაშვილმა სტუმრებისთვის ოთხი გოლი არ დაინანა

რევოლუციის შემდგომ პერიოდში საქართველოს ნაკრების მისტიკურ მწვრთნელთან დაკავშირებული აჟიოტაჟი და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პატიმრობა რომ არა, კაცს დაავიწყდებოდა, რომ ფეხბურთს საქართველოშიც თამაშობენ. რაღაც ძალიან დიდხანს ინელება ჩვენში ზამთრის არდადეგები. საქართველოს ჩემპიონატს ბევრი გულშემატკივარი ისედაც არ ჰყავს და ეროვნული ბურთაობა იმათაც რომ მიავიწყდებათ...

გუშინ გახსენების დღე იყო. ქართულმა ფეხბურთმა საქართველოს თასის მეთექვსმეტედფინალის მატჩებით გაიღვიძა. ქართული საზომებით ბობოლა გუნდები ამ ეტაპზე არ ხვდებიან ერთმანეთს, მაგრამ ეგ ბევრს არაფერს ნიშნავს — მთავარია, რომ დაიწყო.

დაიწყო და, გამოჩნდა კიდეც, ვინ გაძლიერდა და ვინ დასუსტდა ამ ზამთარში. რევოლუციამაც ხომ კვალი დაატყო ფეხბურთს, რამდენიმე კლუბის პატრონი შეიწირა.

თბილისის „დინამო", რავინდ შეცვლილი შემადგენლობით თამაშობდეს, საქართველოში ყველასთვის მრისხანე მეტოქეა და თასის მეთექვსმეტედფინალის პირველ მატჩში მცხეთის „ვიტ ჯორჯიასაც" იოლად გაუსწორდა. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა გიორგი ნემსაძემ კი ამ მატჩში გაიხსენა ქართული გოლის გემო.

ოზურგეთის „მერცხალი" ისე ნამხდარა, რომ პირველი ლიგის აუტსაიდერს, რეგიონალლიგაში გავარდნის პირას მყოფ „მეტალურგს" ვერაფერი მოუხერხა, ისევე, როგორც უმაღლესში გადასვლის ფავორიტთაგანმა „სამგურალმა" რეგიონალლიგელების კანდიდატ ბათუმის „ლუკას".

პირველლიგელ „გორდას" ვერ მოუგო „ლოკომოტივმაც", თუმც აშკარაა, ვარლამ კილასონია „გორდასგან" კარგ გუნდს აკეთებს.

და თუ ფეხბურთელებზე მიდგა საქმე, გამოზამთრებულზე პირველი დღის გმირი ტორპედოელი სულიკო დავითაშვილი გახდა, რომელიც ქუთაისელებს „გურიასთან" მატჩში ოთხი გოლით შეენია.

კალენდარი კი ისეა შედგენილი, რომ ჩემპიონატის მეორე ეტაპის დაწყებამდე ორი სათასო წრე იმართება, ეს მეთექვსმეტედფინალები და მერვედფინალის მატჩები. ჰოდა, ჩემპიონატის განახლებამდე გუნდებსაც და გულშემატკივრებსაც გახურების დრო გვაქვს.



*არჩევანი გაკეთდა, კაცი მოინახა და შეთანხმებაც მიღწეულია. საქართველოს ნაკრების მესაჭედ თითქმის დანიშნული ანატოლი ბიშოვეცის დაწუნების შემდეგ ქართული ფეხბურთის გამგებლებმა „ვიწრო“ არჩევანი ფეხბურთელობაში განთქმულ, მწვრთნელობაში კი ჯერაც გამოსაცდელ ფრანგ ალენ ჟირესზე შეაჩერეს და მალე, უფრო კონკრეტულად კი მარტის დამდეგს, მერაბ ჟორდანია და მიშელ პლატინი მას ოფიციალურად წარადგენენ*

# ჟირესი

## ჟორდანიას „კიდევ სცადე“

მიშელ პლატინი ამ გარიგებაში მხოლოდ შორიდან მაყურებლის სკამზე არ ზის, ჟირესი მისი მეგობარია და ავტორიტეტიანმა ფრანგმა მოლვაწემ ჟორდანიას ის ურჩია.

ხოლო ბიშოვეცის დაწუნების მიზეზი — ვინ იცის — იქნებ, არასაფეხბურთო ხასიათისაც იყოს. რუს-უკრაინელის დანიშვნა იმ ქვეყნის მთავარი გუნდის მწვრთნელად, სადაც გამოღვიძებული თავმოყვარეობა ისტორიის ჭუჭყიან გვერდებს გვახსენებს, მთლად საფეხბურთო საკითხად არ აღიქმება არც ქვედა ფენებში და არც ზემო ინსტანციებში.

გუშინდელ საუბარში კი მერაბ ჟორდანია ჟირესს უკვე ასახელებს ნაკრების მთავარ მწვრთნელად...

— ადასტურებთ, რომ საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ალენ ჟირესია?

— დიახ, ვადასტურებ, ეს გადაწყვეტილია.

— კონტრაქტი ხელმოწერილია?

— არა, მაგრამ ჩათვალეთ, რომ ალენ ჟირესი ნაკრების მწვრთნელია.

— როდის გაფორმდება კონტრაქტი?

— უახლოეს დღეებში.

— ამ არჩევანის თაობაზე ქვეყნის პრეზიდენტმა თუ იცის?

— იცის, ყოველ შემთხვევაში, ინფორმირებულია.

— როდის გამოცხადდება, რომ ჟირესი საქართველოს ნაკრების მწვრთნელია?

— კონტრაქტზე ხელმოწერისთანავე, ანუ უახლოეს დღეებში.

— ჟირესს უკვე შეხვდით?

— დიახ, შევხვდი, ყველა საკითხი მოგვარებულია.

— ბიშოვეცთან დაკავშირებითაც ეგრე იყო...

— ჟირესთან უკვე აბსოლუტურად ყველა დეტალი შეთანხმებულია.

— და მაინც, არის თუ არა ჟირესი ნაკრების მწვრთნელი?

— ჩათვალეთ, რომ არის.

**კობა ინასარიძე**

### ბელგია

იუპილერლიგა. XXIV ტური

ლუვიე 3:2 სტანდარდი

### გერმანია

II ბუნდესლიგა. XXII ტური

კარლსრუე 2:2 არმინია

ნიურნბერგი 2:0 აუე

ალემანია 0:0 ფიურტი

სამხრეთ რეგიონალლიგა. XX ტური

ზაარბრიუკენი 1:1 ბაიერნი (მ)

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა. გადადებული მატჩი

შალკე (მ) — ლაიპციგი გადაიდო

### შვეიცარია

ჩელენჯლიგა. XIX ტური

ვინტერთური 0:0 ვოლენი

### საფრანგეთი

II დივიზიონი. XXVI ტური

შატორუ 4:1 ამიენი

### იტალია

სერია B. XXIX ტური

აველინო 1:0 ვენეცია

ჯენოა 4:1 ტერნანა

### ჰოლანდია

I დივიზიონი. XXIII ტური

ზვოლე 1:1 ვიტესი

II დივიზიონი. XXV ტური

აპელდორნი 0:0 ეინდჰოვენი

სპარტა 1:0 მაასტრიხტი

ტელსტარი 0:1 ექსელსიორი

იგლსი — გრააფსხაპი გადაიდო

სიტარდი 1:1 ჰაარლემი

დორდრეხტი 1:1 ვეენდამი

ემენი 2:0 კამბური

ოსი — ჰერაკლესი გადაიდო

### ინგლისი

III დივიზიონი. XXXIII ტური

დონკასტერი 5:0 კიდერმინსტერი

კონფერენსლიგა. XXXIII ტური

დაგენემი 0:9 ჰერეფორდი

### ფინეთი

ლიგის თასი. I ეტაპი. III ტური

ტურკუ 1:1 ჯაზი

ლაჰტი 0:0 ჰაამენლინა

კტპ 2:1 კუოპიო

### პორტუგალია

სუპერლიგა. XXIV ტური

გიმარაეში 2:1 ნასიონალი

# ლომაიას ესპანელები პირისპირ ელაპარაკნენ

## სკალა გაგიჟდა, სახალხო გუნდი სახალხოდ გათახსირდა



*მოსკოვის „სპარტაკი“ და გიორგი ლომაია უეფას თასს ფაქტობრივად გამოეთიშნენ. ალბათ ცხადზე ცხადია, რომ „სახალხო გუნდი“ საპასუხო მატჩში უშანსოა. საშინაო 0:3 არ არის ის ანგარიში, რომლის ამოქაჩვაც „სპარტაკს“ შეუძლია. თუმც „სპარტაკ“ — „მალიორკას“ ჯახში ჩვენთვის საინტერესო სხვა რამ იყო — საქართველოს ნაკრების მეკარემ გიორგი ლომაიამ ოფიციალური დებიუტი მოიწყო მოსკოვურ კლუბში. მართალია, მეკარისთვის სამი ბურთის გაშვება, თანაც სადებიუტო მატჩში, საკმაოდ უსიამოვნო ამბავია, მაგრამ გიორგის ამაში ბრალი ყველაზე ნაკლებად მიუძღვის. ესპანელებისგან დაჩაგრულ „სპარტაკში“, ეგრეა და, სწორედ ქართველი ფეხბურთელი გამოირჩეოდა*

— რას იტყვი, გიორგი, მატჩზე? ასეთი ანგარიშით მარცხს ალბათ არავინ ელოდა...

— პირველი გოლი რომ გავუშვით, მერე ყველაფერი აირია. შეიძლება ითქვას, სწორედ იმ გოლმა გადაწყვიტა მატჩის ბედი. „მალიორკა“ მერე უფრო გათამამდა და, სამწუხაროდ, დიდი ანგარიშითაც მოგვიგო.

— გოლები ბოლოსკენ გაუშვით. ფიზიკურმა მომზადებამ დაგალალატათ?

— არა, ეს არაფერ შუაშია. ესპანელებმა გვაჯობეს და ეგ არის, თორემ მომენტები ჩვენც ბლომად გვქონდა.

— თუ იფიქრებდი, რომ ყველაფერი ასე დამთავრდებოდა და პირველივე მატჩში გაირკვეოდა მერვედფინალისტის ვინაობა?

— მთლად ასე არ მეგონა, მაგრამ... თან ოთხი-ხუთი ახალწვეულის განაცხადში შეყვანა ვერ მოესწრო და ამანაც დაგვასუსტა. თუმც 0:3 ალბათ მაინც არ უნდა წაგვეგო. მეორე ტაიმში თამაში გაიხსნა და იმდენი მომენტი ვერ გამოვიყენეთ, რომ... ასეთ შეცდომებს „მალიორკა“ არ გაპატიებს.

— შეგეძლო, რომელიმე გოლისგან გუნდის გადარჩენა?

— არა, სამივე პირისპირ გამიტანეს, უშანსოდ ვიყავი.



— გამოდის, მცველებმა დაგალალატეს...

— რა ვიცი... ეს ჩემი გასარჩევი არაა. ცოტ-ცოტა ალბათ ყველამ შევცოდეთ.

— ესე იგი, ოფიციალურ მატჩში სპარტაკული დებიუტით უკმაყოფილო ხარ...

— ანგარიშიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა. ისე, რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე და არა მგონია, ვინმემ წაგებაში დამადანაშაულოს. საკმაოდ ნორმალურად ვითამაშე.

— სამუელ ეტოოზე რას იტყვი?

— ძალიან მაგარია. ბევრი თავსატეხი გაგვიჩინა, გოლიც შეაგდო...

— ნევიო სკალამ რაო?

— გიჟს ჰგავდა. თამაშის მერე ბაზაზე წაგვიყვანა და ჩაგვკეტა. კოვალევსკიმ მითხრა, დონეცკის „შახტარშიც“ ასე აკეთებდაო, თუმც ისიც დაამატა, მოგებული მატჩის შემდეგაც ბაზაზე გვათენებინებდა ღამესო.

— გამოხმაურება როგორი იყო?

— რა ვიცი, რას არ წერენ. გაზეთები მაგრად ათახსირებენ „სპარტაკს“.

— უეფას თასიდან ფაქტობრივად გავარდით. რუსეთის ჩემპიონატში რა დაგისახეს?

— საპრიზო ადგილებზე გასვლა უნდათ, მაგრამ რა გამოვა აქედან, არავინ იცის. ასეთი გუნდით მედლებზე კი არა, პრემიერლიგაში დარჩენაზე ფიქრი უფრო გამართლებული იქნება. თან, მგონი, ეგორ ტიტოვის დისკვალიფიკაციის შემსუბუქებასაც ცდილობენ: შესაძლოა, ტიტოვს რუსეთის ჩემპიონატში თამაშის უფლება მისცენ.

— ახლა რას აპირებთ?

— დღე-დღეზე ესპანეთში მივდივართ. ასე გადაწყვიტეს, „მალიორკასთან“ თამაშამდე ხუთი დღით ადრე ჩავალთ ესპანეთში.

**კახა შალამბერიძე**

*... ლომაია თანაგრძნობას იმსახურებდა. მეორე ტაიმის დასაწყისში სასწაულიც ჩაიდინა — ფეხით ისეთი ბურთი მოიგერია, ყველას გასული ეგონა. შემდეგ კი მისმა თანაგუნდელებმა ესპანელებს უმოწყალოდ დააზვრეტინეს საცოდავი მეკარე — ასეთია რუსი ჟურნალისტების შეფასება.*



# იაშვილის ლაუტერნული და ესპანეთის კანური განკითხვები

*ხვალ იაშვილ-ცქიტიშვილის „ფრაიბურგს“ ერთობ პრინციპული მატჩი აქვს ბუნდესლიგაში — შინ „კაიზერსლაუტერნს“ მასპინძლობს და ფრაიბურგელთა ერთ-ერთ ლიდერ ალექსანდრე იაშვილსაც ამად შევეხმიანეთ. წინა ტურში „ფრაიბურგი“ ფრეს გამორჩა სტუმრად „გლადბახთან“ და იქ იაშვილს არ უთამაშია. ჰოდა „აკუნასაც“ პირველ რიგში ჯანმრთელობაზე ვკითხეთ...*

— „გლადბახამდე“ „ჰერტასთან“ რომ გვქონდა თამაში, საზარდული დავიზიანე და ამის გამო ერთი კვირა არცკი მივარჯიშია. ვარჯიში სამშაბათს განვაახლე და ახლა ჯანმრთელად ვარ — „კაიზერსლაუტერნთან“ ვითამაშებ.

— ბოლოს შინ რომ ითამაშეთ, „ჰერტასთან“ 2:3 წააგეთ, არადა, „ფრაიბურგმა“ თუ სახლში ვერ მოიგო, ერთობ გაირთულებს საქმეს...

— „ლაუტერნი“ ჩვენი უშუალო კონკურენტია და შინ აუცილებლად უნდა მოვუგოთ. „ლაუტერნს“ ოთხი ქულით ვუსწრებთ და გამარჯვების შემთხვევაში კარგი ფორით ჩამოვიტოვებთ.

— „ლაუტერნს“ ახალი მწვრთნელი ჰყავს — კურტ იარას ხელში გუნდი უკეთ თამაშობს?

— ეგრეა, იარა რაც მოვიდა, „ლაუტერნი“ უკეთ ათამაშდა — ბოლო სამი მატჩიდან ორი მოიგო და ერთი წააგო, ისიც ბოლო წუთზე გაშვებული პენალტით, ბუნდესლიგის ლიდერთან, „ვერდერთან“ გასვლაზე იარას გუნდმა ხუთი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა, ბრემენელებს კი პენალტამდე არაფერი შეუქმნიათ. „ლაუტერნს“ ისეთი ფეხბურთელები ჰყავს, ახლა, წესით, საუკეთესო ექვს გუნდში უნდა იყოს. განსაკუთრებით შემტევ ხაზს გამოვარჩევდი — ხრისტოვი, ლოკვენცი და კლოზე.

— **კორეა-იაპონიის შემდეგ კლოზე მაინცდამაინც ვერ ბრწყინავს...**

— ყოველ შემთხვევაში, სეზონში 12 გოლზე ნაკლები არ გააქვს, რაც ცოტა ნამდვილად არა არის. ის საკმაოდ კარგი ფორვარდია და მომავალი სეზონიდან „ვერდერში“ ითამაშებს აილტონის შემცვლელად — ეს ტრანსფერი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია.

— **„ბაიერნის“ „რეალთან“ მატჩზე რას ამბობენ გერმანიაში?**

— გერმანელებმა „ბაიერნი“ შეაქეს, მაგრამ ოლივერ კანი, როგორც იტყვიან, ცეცხლში გაატარეს. გაზეთებმა კანს საშინელი რალაცეები დაუწერეს, განსაკუთრებით ესპანურმა პრესამ — გერმანულ პრესაში წერილები თარგმნეს და ერთ-ერთ ესპანურ გაზეთს დაუწერია, კანზე უკეთესად ორსულ ქალს შეუძლია თამაშიო.

**დავით თავართქილაძე**



კაიზერსლაუტერნელებისგან სახიფათო თუ ვინმეა, პირველი მიროსლავ კლოზე. იაშვილმა ეს კარგად იცის

## დავით ყიფიანის თასი

მეთექვსმეტედფინალი. პირველი მატჩები

# სახიფათო მომენტი

## როცა ბევრი გაქვს და ვერ გაგაქვს, გაიხსენე ძველი ჭეშმარიტება

**საქართველოს თასის** მეთექვსმეტედფინალის საპასუხო მატჩის წინ თბილისურმა „ამერმა“ საკმაო ფორა მიიღო — რეგიონალლიგის „ურიონი“ შინ 2:0 დაამარცხა და მეორე მატჩს მაუდკამვოლის სტადიონზე შედარებით მშვიდად შეუძლია შეხვდეს.

გუშინდელი „ამერი“ — „ურიონი“ მასპინძელთა ხელოვნურსაფარიან მოედანზე გაიმართა და ძალი უნდა ჰქონდეს ენას, ვინმე მოგვედავოს, „ამერის“ უპირატესობა აშკარა არ ყოფილაო. მატჩის პირველ ნახევარში „ამერი“ რაციონალური ჩანდა, დაგეგმილი ტაქტიკით თამაშობდა, თუმც მერეჯერ მაინც გოლებზე ვთქვათ. პირველი გოლი პირველსავე წუთზე გავიდა: რუსიასთან ფლანგზე ბრძოლისას სილაგაძემ ბურთი კუთხურზე გადააგდო, ხუბუას ჩაწოდებულ ბურთს კი ცენტრალურმა მცველმა დავითნიძემ ადგილი შორეულ კუთხეში მიუჩინა.

„ამერის“ შეტევები, განსაკუთრებით ფლანგებიდან ხუბუასა და სილაგავას მონაწილეობით, არ წყდებოდა. „ურიონმა“ მთელი 45 წუთის განმავლობაში სულ ერთი კუთხური მოაწოდა და ისიც მასპინძელთა მეკარის ნადირაშვილის მიერ ბურთის ოსტატურად მოგერიებით დასრულდა.

სათქმელი პირდაპირ ვთქვათ: „ამერს“ სუსტი მეტოქე ჰყავდა. მასპინძელთა მეორე გოლიც სტუმართა გაუმართავი დაცვის შეცდომისა და შონიას ჩინებული პასის შედეგია: ფლანგიდან ცენტრისკენ შეჭრილი რუსია გრძელიშვილთან პირისპირ დარჩა და 2:0 გახადა.

საპასუხო მატჩის წინ ეს უკვე კარგი ფორა იყო, თუმც „ამერს“ მეორე ტაიმში ხუთი-ექვსი ისეთი მომენტი ჰქონდა, უბრალოდ, ვალდებული იყო, გამოეყენებინა: ვერემჩუკსა და გოცირიძეს რეალური მომენტები გაუცუდდათ, კუსრაშვილს ჩინებულად მოთამაშე მეკარე გრძელიშვილმა აჯობა; იმავ გოცირიძემ კი მისივე ნაჯაფი საჯარიმოთი ხარიხა ლამის ჩამოილო. იქამდე ძელს ერთხელაც კუსრაშვილმა უთავაზა.

მოკლედ, 2:0 საპასუხო მატჩის წინ, უდავოდ, კარგი ფორაა, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ „ამერის“ ფეხბურთელებს მეორე მატჩში უთუოდ ბრძოლა მოუწევთ.

**კობა ინასარიძე**

თბილისი. 27 თებერვალი. 14 საათი. ამერის საფეხბურთო სკოლა. 100 მაყურებელი

### ამერი 2:0 ურიონი

1:0 დავითნიძე (1), 2:0 რუსია (36)

| ამერი | ურიონი |
|---|---|
| ამერი: ნადირაშვილი, კედელაშვილი, ჩიხრაძე, დავითნიძე, გარუჩავა, ვერემჩუკი (განუგრავა 53), შონია (კუსრაშვილი 75), ხუბუა, სილაგავა, წინამძღვრიშვილი (ბ. გოცირიძე 46), რუსია | ურიონი: ი. გრძელიშვილი, ორაგველიძე, ზ. პატაშური, ჩოხელი (ნიკოლაიშვილი 9), როსტიაშვილი, ჩაფიძე, ლ. გრძელიშვილი, სილაგაძე (ნოზაძე 46), ლაბაძე, ციცხვაია, ბაბუაძე |
| სათადარიგონი: თევდორაძე; ელბაქიძე, მჭედლიშვილი, გვაძაბია | სათადარიგონი: ღურბელეიშვილი; გ. პატაშური, შარაშიძე |
| მწვრთნელი: თამაზ კოსტავა | მწვრთნელი: თემურ თვალჭრელიძე |

გაფრთხილება: გოცირიძე (87), ნიკოლაიშვილი (87)

მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ლ. თოდრია (თბილისი), ზ. ფიფია (გალი); ა. შილაკაძე (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი



ამერელებს უამრავი საგოლე მომენტი ჰქონდათ, თუნდაც ბექა გოცირიძეს, რომელიც ურიონელთა საჯარიმოში რამდენჯერმე სახიფათოდ დატრიალდა

ლაგოდეხი. 27 თებერვალი. 14 საათი. ცენტრალური

**მცხეთა** მცხეთა **1:0 სკ თბილისი** თბილისი

1:0 მელიქია (58)

გორი. 27 თებერვალი. 14 საათი. ქართლი

**ცხინვალი** ცხინვალი **2:1 ჰერეთი** ლაგოდეხი

1:0 რევაზიშვილი (36პ), 2:0 ბოლოთაშვილი (63), 2:1 გაბრიჭიძე (72პ)

ოზურგეთი. 27 თებერვალი. 14 საათი. ცენტრალური

**მერცხალი** ოზურგეთი **0:0 მეტალურგი** ზესტაფონი

ქუთაისი. 27 თებერვალი. 14 საათი. ტორპედო

**ტორპედო** ქუთაისი **5:0 გურია** ლანჩხუთი

1:0, 2:0 დავითაშვილი (24, 47), 3:0 გ. ჩხეტიანი (54), 4:0, 5:0 დავითაშვილი (64, 66)

ვეგუთი. 27 თებერვალი. 14 საათი. ცენტრალური

**სამგურალი** წყალტუბო **0:0 ლუკა** ბათუმი



ტორპედოელმა სულიკო დავითაშვილმა სათასო თამაშები მხიარულად, ოთხი გოლით დაიწყო

## დავით ყიფიანის თასი

### მეთექვსმეტედფინალი. პირველი მატჩები

# ნაცადი და სანდო: ნემსაძე და სანდრო

თბილისი. 27 თებერვალი. 14 საათი. ეროვნული. 700 (ტევადობა 70 900)

## დინამო 3:0 ვიტ ჯორჯია-მცხ.

1:0 ნემსაძე (44), 2:0, 3:0 იაშვილი (74, 87)

| | |
|---|---|
| დინამო: ზოიძე, კარლოსი, ახალაია, შაშიაშვილი, კანდელაკი, კვირკველია, ნემსაძე, გოგობერიშვილი, ანჩაბაძე (ჰომერო 83), მელქაძე (კაშია 67), იაშვილი *სათადარიგონი:* გვარამაძე; ექონია, ხმალაძე, სახვაძე, მ. ბობოხიძე მწვრთნელი: ივო შუშაკი | ვიტ ჯორჯია-მცხ.: მუჯრიშვილი, თალაშვილი, ლომაია, ზ. მეტრეველი, კვახაძე, ინჯია (ჯოჯუა 82), ბეროშვილი, ბუჯიაშვილი (ჯაფარიძე 73), სოზაშვილი (ადეიშვილი 60), ხარბედია, ლ. მანწკავა *სათადარიგონი:* თვალაბეიშვილი; პირველი, ბეჟვაია, გულბათაშვილი მწვრთნელი: ირაკლი უშვერიძე |

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ა. ნონიკაშვილი (თბილისი), ხ. გაგნიძე (გორი); ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ს. კოტრიკაძე

დავით ერაძე

**შემადგენლობანაცვალმა** „დინამომ" თავის სათამაშო მონახაზს არც ამ მატჩში უღალატა. ცენტრალური მცველის ფუნქციას შაშიაშვილი ასრულებდა, მარჯვნივ უკვე უნივერსალად ჩამოყალიბებული ახალაია ირჯებოდა. მან გრიპშეყრილი წერეთელი შეცვალა. მარცხნივ კანდელაკი იყო. დინამოელების ტრადიციულად აგრესიული ფლანგები — კვირკველია და კარლოსი შეტევასაც ასწრებდნენ და დაცვის მიხედვასაც. ნემსაძის თამაშში ზედმეტი არაფერი იყო, მისი სიმშვიდე პარტნიორებზეც სასიკეთოდ მოქმედებდა. მეორე და უფრო შემქნელი საყრდენის ფუნქციები კი გოგობერიშვილმა შეითავსა. ანჩაბაძეს სამოძრაო არეალი გამოუთავისუფლდა და დინამოელ ფორვარდთა დუეტს არაერთი საგოლე პასიც „უძღვნა". იაშვილის პროგრესიც აშკარაა. შან საკმაოდ ბევრი იმოძრავა, აგრესიითაც გამოირჩა, მაგრამ მსაჯებთან ფუჭ კამათსაც თუ დაანებებს თავს, გაცილებით მეტს შეძლებს.

ბუნებრივია, მეთექვსმეტედფინალის ამ წყვილში კლასში სხვაობა დიდი იყო და „დინამომ" დამაჯერებელ გამარჯვებას სწორედ ამის ხარჯზე მიაღწია, თორემ იოლი გასეირნება ნამდვილად არ ყოფილა. მეტიც, პირველი საგოლე მომენტი მე-19 წუთზე ექსდინამოელი გიორგი მანწკავას ძმას, ლაშას ჰქონდა. მისი თავური ზოიძემ რთული ნახტომით მოიგერია. ვეტერინართა ფარმკლუბის ჩხვლეტამ „დინამო" გამოაფხიზლა და ტაიმის მეორე ნახევარი ფაქტობრივად მეტოქის მხარეზე გაატარა. 44-ე წუთზე მცხეთელთა კარში ჯარიმა დაინიშნა, რომლის შესრულება ნემსაძემ ითავა. გიორგიმ მოკლე გამორბენი გააკეთა, ბურთი ცოცხალ კედელს მოავლო და ცხრიანში ჩასვა — 1:0. აქვე ვთქვათ, რომ „დინამოს" დარასელია ძალიან დააკლდა. მარტო ის რად ღირს, რომ 11 კუთხურიდან სიმწვავე ერთსაც არ მოჰყოლია.

მეორე ტაიმიდან დინამოელები უფრო ამოძრავდნენ და სიჩქარის გადართვამ „ვიტ ჯორჯიას" ნელნელა ძალა გამოაცალა. 59-ე წუთიდან 72-მდე ორჯერ იაშვილს, კვირკველიასა და მელქაძეს შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა.

74-ე წუთზე იაშვილმა ბურთი ცენტრის სიახლოვეს მიიღო, გზად სამ მცველს გასცდა (თანაც ჭიდილჭიდილში), საჯარიმოში შეიჭრა და შორეულ მარცხენა კუთხეში ლამაზი გოლი გაიტანა.

„დინამო" მოეშვა და კინალამ დაისაჯა კიდეც. ჯერ მანწკავამ ჩაჭრა ბურთი და საჯარიმოში შეუსვლელად დაარტყა, თუმცა მიზანმა ოდნავ უმტყუნა, შემდეგ ჯოჯუას პასით მეკარესთან პირისპირ ადეიშვილი დარჩა. რამდენიმე ზედმეტი მოძრაობა და ზოიძემ ასპროცენტიანი საგოლე მომენტი გააუვნებლა. ამასობაში „დინამოს" რიგებში ბრაზილიელი ჰომეროც გამოჩნდა. მას მონდომებას და აგრესიულობას ვერ დაუკარგავ, თუმცა ცხადია, რომ თანაგუნდელებთან შეთამაშება ჯერაც ვერ მოასწრო.

მესამე გოლი ისევ იაშვილმა გაიტანა, მან ახალაიას დარტყმულ და მეკარისგან უკუგდებულ ბურთს დაამატა.

მატჩის შემდეგ მოსაზრება მხოლოდ *ივო შუშაკმა* გაგვიზიარა: პირველ თამაშს თავისებური დაძაბულობა მუდამ ახლავს, თუმცა ვფიქრობ, რომ თამაშს მყარად ვაკონტროლებდით. ჩვენი მეტოქე საკმაოდ კარგი და მონდომებული გუნდია. მეორე ტაიმიდან უკეთ ავთამაშდით და საბოლოო შედეგი ობიექტურია. ნემსაძეს არა მარტო ჩინებული გოლის გამო გამოვარჩევ, არამედ დამაჯერებელი თამაშის გამოც, რომელმაც უკანა ხაზსაც მეტი რწმენა მისცა. ჰომეროს მხოლოდ 10 წუთი მივეცით, ის საკმაოდ აგრესიული იყო, ამას თქვენც შეამჩნევდით. მას კიდევ მიეცემა სათამაშო დრო, რათა თავისი საჭიროება დაგვიმტკიცოს.






გიორგი ნემსაძეს ისევ „დინამოსთვის" გააქვს

თბილისი. 27 თებერვალი. 14 საათი. ლოკომოტივი. 300 (ტევადობა 25 600)

## ლოკომოტივი 3:3 გორდა

1:0 მიქაძე (23), 1:1 მიქავა (15), 1:2 ფეიქრიშვილი (29), 2:2 დავითულიანი (47), 2:3 წუწუნავა (75), 3:3 გოგინაშვილი (90)

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი: მამალაძე, ზამთარაძე, ძამსაშვილი (გოგინაშვილი 46), გ. ონიანი, სვანაძე (სანიკიძე 74), მორჩილაძე, გ. მანწკავა, სოსელია, დავითულიანი, ზირაქიშვილი (დათვაძე 46), გ. ვ. მიქაძე *სათადარიგონი:* ხაჩირაშვილი; ჟღენტი მწვრთნელი: ზაურ სვანაძე | გორდა: ჯანიაშვილი, [illegible], ბეჟანიშვილი, ვ. ჩხაიძე, გ. კილასონია, ნ. ლაბაძე, ფეიქრიშვილი, ზაზაშვილი (ზ. ლაბაძე 69), გ. მიქაძე, მიქავა ბარბაქაძე (წუწუნავა 46) *სათადარიგონი:* თაბუკაშვილი; გაბრიჭიძე, ხატიაშვილი მწვრთნელი: ვარლამ კილასონია |

გაფრთხილება: სანიკიძე (63), მანწკავა (74)

მსაჯები: მ. მალალურაძე (თბილისი); გ. ცირდავა (გულრიფში), ლ. სილაგავა; მ. მაისურაძე (ორივე თბილისი);

სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

# ორომტრიალი ვაკეში

დავით თავართქილაძე

**გუნდის** შენებას დრო უნდა და „ლოკომოტივის" ახალ დამრიგებელ ზაურ სვანაძესაც მკაცრად ვერავინ განსჯის. რაც შეეხება „გორდას", რუსთაველებმა მართლაც კარგი შთაბეჭდილება დატოვეს — პირველლიგელმა უმაღლესის ზეექვსეულის გუნდთან ტოლ-სწორად ითამაშა და ცოტაც რომ გაეძლო, ვინძლო მერვედფინალის საგზური ლამის ჯიბეში ჩაედო.

„ლოკომოტივმა" კი მეტოქე ჯიბეში ვერ ჩაისვა და არც იყო მოსალოდნელი, რომ დასუსტებული რკინიგზელები პირველი ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს შინ შპალივით გააკრავდნენ.

გიორგი მიქაძემ მისივე წაქცევისთვის დანიშნული 11-მეტრიანი გაიტანა და „ლოკომოტივი" მეორე გოლისთვის შეიმართა. საგოლე შანსი ისევ მიქაძეს მიეცა, როცა მიხეილ სოსელიას გამოზომილი პასით მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ჯონი ჯანიაშვილს ვერ აჯობა.

ბარემ აქვე დავძენთ, რომ მიქაძე ლოკომოტიველთაგან საუკეთესო იყო — ეს ფორვარდი სეზონის პირველ ეტაპთან შედარებით, უკეთეს ფორმაშია.

ერთი სიტყვით, „გორდამ" გაშვებულ გოლს მოყოლებულ შეტევას გაუძლო და ერთ-ერთ კონტრიერიშზე საჯარიმო დარტყმასაც გამორჩა — ირაკლი მიქავამ დაახლოებით 18 მეტრიდან ლონიერი ცაციათი გაათანაბრა.

ამის შემდეგაც ბურთის ფლობა „ლოკომოტივს" იყო. მიქაძემ კარგად დაუგდო ბურთი თავით რამაზ სვანაძეს, ვინც ჯანიაშვილს კი დაასწრო, მაგრამ ბრძოლაში ბურთის კარში გადაგზავნა ველარ მოახერხა.

„გორდა" თითქოს კმაყოფილი იყო საყაიმო ანგარიშით, მაგრამ რუსთაველთა კაპიტანმა, ლიბეროდ მოთამაშე გია კილასონიამ ისეთი პასი გაჭრა, რომ „ლოკომოტივის" მთელი დაცვა-ნახევარდაცვა სახტად დატოვა — გიორგი ფეიქრიშვილი პირისპირ შეეყარა ზურაბ მამალაძეს და 1:2.

მასპინძლები ამას ნაღდად არ ელოდნენ დ ცოტა დაიბნენ, ხოლო მიქავამ კინალამ ერთხელაც დაამწუხრა „ლოკომოტივი" — ხარიხა შეატორტმანა.

შესვენების შემდეგ „ლოკომოტივი" ისე გახელებული გავიდა მინდორზე, რომ მალევე იხეირა — ზაზა ზამთარაძის ჩაწოდებულზე დავით დავითულიანმა თავურით შეაგდო.

რკინიგზელთა რიგებში მეორე



გიორგი მიქაძე

ტაიმში დავით დათვაძე გამოჩნდა — ის საუკეთესო ფორმაში არაა, მაგრამ რამდენჯერმე შეძლო თამაშის გამწვავება. თუმც „გორდა" მაგრად იდგა და მიუხედავად „ლოკომოტივის" მცირე ტერიტორიული უპირატესობისა, ხიფათი არც ერთ კართან არ იქმნებოდა.

მაგრამ 75-ე წუთზე მასპინძელთა დაცვას კახა წუწუნავა გაეპარა, ვინც უპრობლემოდ აჯობა მამალაძეს — 2:3.

ლაშა სალუქვაძე, სერგი ორბელაძე, ირაკლი ვაშაკიძე, როინ ონიანი და რევაზ ქემოკლიძე — სხვათა გარდა „ლოკომოტივი" პირველი ეტაპის შემდეგ ამათაც დატოვეს და რა გასაკვირია, რომ ზაურ სვანაძის გუნდს ყველაზე უფრო დაცვაში უჭირს.

„ლოკომოტივი" მარცხს ვერ შეეგუებოდა და რაც ჯანი ჰქონდა, შეუტია. რომან გოგინაშვილის პასით სოსელიას შეეძლო გათანაბრება, მაგრამ მისი მყისიერი დარტყმა ძლიერი არ გამოდგა და ჯანიაშვილმაც იხსნა „გორდა". თუმც ბოლო წუთზე რუსთაველები მაინც გატყდნენ — მოედნის ცენტრში კარგად იბრძოლა გიორგი ონიანმა, ბურთი გადააწოდა მარჯვენა ფლანგზე გაჭრილ მიქაძეს, ვინც გოგინაშვილს თავზე დაასვა ბურთი და 3:3.

მაგრამ ორომტრიალი ამით არ დამთავრდა — მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე დათვაძე თითქმის პირისპირ გავიდა მეკარესთან, მაგრამ ბურთი ჯანიაშვილს ვერ აცილა, დამატებაზე კი მიქაძემ რთული მდგომარეობიდან სცადა გატანა და ბურთი ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა „გორდას" ერთ-ერთმა მცველმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უეფას თასი

**UEFA CUP 1/16 ფინალი. პირველი მატჩები. გუშინ UEFA CUP**

**სპარტაკი** (მოსკოვი, რუსეთი) 0:3 **მალიორკა** (ესპანეთი)
0:1 ეტოო (67), 0:2 ტონი გონსალესი (80), 0:3 პერერა (85)
სპარტაკი: ლომაია, პარფიონოვი, კოვტუნი, მიტრესკი (კინკი 72), კებე, პეტკოვიჩი, სამედოვი (ს. სტანიჩი 90), ტრობოკი, კალინიჩენკო, პიანოვიჩი, პავლენკო (ო. ივანოვი 90)
მწვრთნელი: ნევიო სკალა
მალიორკა: მიკი, რამისი, ოლაიზოლა, კამპანო (ტონი გონსალესი 59), პოლი, ლუსენჰოფი, მარკოსი, ნაგორე, ფინიდი, ეტოო (პერეირა 83), ბრუგინკი (კორეა 73)
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
გაფრთხილება: ნაგორე (58)
მსაჯი: ალონ იეფეტი (ისრაელი)
20 000 მაყურებელი

**ვოლერენგა** (ნორვეგია) 1:1 **ნიუკასლ იუნაიტედი** (ინგლისი)
0:1 ბელამი (39), 1:1 ნორმანი (54)

**ვროცლინი** (პოლონეთი) 0:1 **ბორდო** (საფრანგეთი)
0:1 შამახი (90)
გაძევება: ედუარდო კოშტა (30, „ბორდო“)

**მარსელი** (საფრანგეთი) 1:0 **დნიპრო** (დნეპროპეტროვსკი, უკრაინა)
1:0 დროგბა (55პ)

**გაზიანთეფსფორი** (თურქეთი) 1:0 **რომა** (რომი, იტალია)
1:0 შიმშეკი (19)

**პარმა** (იტალია) 0:1 **გენჩლერბირლიგი** (თურქეთი)
0:1 სკოკო (60)

**პერუჯა** (იტალია) 0:0 **პსვ ეინდჰოვენი** (ჰოლანდია)

**სელტიკი** (გლაზგო, შოტლანდია) 3:0 **ტეპლიცე** (ჩეხეთი)
1:0 ლარსონი (3), 2:0 სატონი (12), 3:0 ლარსონი (90)

**ოსერი** (საფრანგეთი) 0:0 **პანათინაიკოსი** (ათენი, საბერძნეთი)
გაძევება: კაპო (66, „ოსერი“)

**ლივერპული** (ინგლისი) 2:0 **ლევსკი** (სოფია, ბულგარეთი)
1:0 ჯერარდი (67), 2:0 კიუელი (70)

**გალათასარაი** (სტამბოლი, თურქეთი) 2:2 **ვილიარეალი** (ესპანეთი)
0:1 ს. ანდერსონი (7), 0:2 რიკელმე (22), 1:2 ერდოგანი (26), 2:2 პრატესი (52)
გაძევება: ბალესტეროსი (61, „ვილიარეალი“)

**ბრიუგე** (ბელგია) 1:0 **დებრეცენი** (უნგრეთი)
1:0 ლანგე (40)

**ბრონდბიუ** (კოპენჰაგენი, დანია) 0:1 **ბარსელონა** (ესპანეთი)
0:1 რონალდინიო (63)

**სოშო** (საფრანგეთი) 2:2 **ინტერი** (მილანი, იტალია)
0:1 ვიერი (8), 1:1 ფრო (59), 1:2 რეკობა (61), 2:2 ფრო (81)

**ბენფიკა** (ლისაბონი, პორტუგალია) 1:0 **რუსენბორგი** (ტრონჰეიმი, ნორვეგია)
1:0 ზაჰოვიჩი (60)

**ვალენსია** (ესპანეთი) 3:2 **ბეშიქთაში** (სტამბოლი, თურქეთი)
0:1 პანჩუ (17), 1:1 სისოკო (25), 1:2 პანჩუ (39), 2:2 კანობიო (43), 3:2 დ. ნავარო (90)

***საპასუხო მატჩები გაიმართება 3 მარტს***

**ვოლერენგაში** ჩასულმა ალან შირერმა მატჩის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე შეიტყო, რომ არ ითამაშებდა. „ნიუკასლის“ კაპიტანმა იწყინა და ამის გამო შეხვედრის შემდეგ კიდეც დაიჩივლა: „ბოლო ათ დღეში მხოლოდ ერთხელ ვითამაშე და დაღლა არც მიგრძვნია. ვერ გავიგე, მწვრთნელმა რატომ დამასვენა“.

შირერის გარდა როლან რობერი და კირონ დაიერიც სათადარიგოთა სკამზე მოხვდნენ. სერ ბობი რობსონმა გადაწყვეტილება ასე ახსნა: „ჩავთვალე, რომ „ვოლერენგასთან“ ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელის გარეშეც შევძლებდით ბრძოლას. ეს არ იყო ფინალი და აუცილებლად მოსაგები მატჩი, ამიტომ უთამაშებლობა ამ შემთხვევაში საწყენი არაა“.

ნორვეგიულ გუნდთან ოდნავ შესუსტებული „ნიუკასლი“ პირველ ტაიმში კრეიგ ბელამის გოლით დაწინაურდა. რუნარ ნორმანმა შესვენების შემდეგ თავური დარტყმით გაათანაბრა, შეხვედრის ბოლოს კი შეი გივენი მასპინძლებმა გვარიანად აზტუნავეს.



REUTERS

ალან შირერმა სათადარიგოთა სკამი იუკადრისა

# ფანტაზია და მარჯვე ფეხები

## აქაც მე ვარ, იქაც მე ვარ



REUTERS

ლივერპული — ლევსკი. მაიკლ ოუენმა მეკარეს ვერც ამ მომენტში აჯობა და მოედანი უგოლოდ დატოვა

ნევიო სკალას სადებიუტო მატჩი „მალიორკასთან“ მარცხიანი გამოდგა. „სპარტაკმა“ პირველ ნახევარში კარგად ითამაშა და ორიოდ საგოლე მომენტიც შექმნა, მაგრამ მერე მოსკოველები აიჭრნენ. სამუელ ეტოომ დაიწყო და პერერამ ლამაზი გოლით, ფაქტობრივად, „სპარტაკი“ მერვედფინალიდან გამოთიშა. „გუნდში კიდევ ბევრი სამუშაოა და შემადგენლობაში ცვლილებებს აუცილებლად მოვახდენ“ — თქვა ნევიო სკალამ.

„ჰერტას“ და „მანჩესტერ სიტის“ მძლეველმა „გროცლინმა“ ისე ვერ ითამაშა, როგორც გასულ შემოდგომაზე. „ბორდოს“ ედუარდო კოშტა 30-ე წუთზე უხეშობისთვის გაუძევეს, მაგრამ მასპინძლებმა კაცმეტობითაც ვერ ისარგებლეს. არადა, დრო საკმაო ჰქონდათ. ჟირონდელებმა დამხვდურთა ხანგრძლივ იერიშებს გაუძლეს და გამძლეობისთვის დასაჩუქრდნენ. შამახმა გამარჯვების გოლი შეხვედრის მიწურულს გაიტანა.

„მარსელმა“ უკრაინელი სტუმრები დიდიე დროგბას პენალტით დაამარცხა. დროგბას დარტყმისას ფეხი დაუცდა და წაიქცა, მაგრამ ბურთის კარში დამიზნება მაინც მოახერხა.

გაზიანთეფში გუშინწინ დიდი ზეიმი მოეწყო. იქაურები „რომასთან“ შიმშეკის გოლით მალევე დაწინაურდნენ და ანგარიშის შენარჩუნება შეძლეს.

რომაელები თურქეთს ტოტის, კასანოს და პელიცოლის გარეშე ეწვივნენ. ფაბიო კაპელომ ეს ბიჭები გაზიანთებში სარბენლად ვერ გაიმეტა და დაასვენა. წაგების მიუხედავად, „რომა“ შინ მეტოქეს ალბათ იოლად გაუსწორდება.

კიდევ ერთმა თურქულმა გუნდმა „გენჩლერბირლიგმა“ სტუმრად „პარმას“ სძლია. უამინდობის გამო მატჩი დაგვიანებით დაიწყო, ერთადერთი გოლი კი სკოკომ მეორე ტაიმში გაიტანა და „გენჩლერს“ მეოთხედფინალში გასვლის კარგი შანსი შეუქმნა.

ყველაზე გოლუხვი და თვალსასეირო შეხვედრა „მესტალიაზე“ გაიმართა. „ბეშიქთაში“ დანიელ პანჩუს წყალობით შესვენებამდე ორჯერ დაწინაურდა. პანჩუს მეორე გოლი საამო საცქერი იყო. დაახლოებით 50 მეტრი გაიარა და ბურთი „ვალენსიას“ კარში შეჭედა.

მასპინძლებმა, სისოკომ და კანობიომ, პირველივე ნახევარში გაქვითეს თურქთა უპირატესობა. მეორე ტაიმში ორივე გუნდს საკმაოდ საგოლე მომენტები ჰქონდათ, შეხვედრის ბედი კი ბოლო წუთზე ნავაროს ზუსტმა თავურმა დარტყმამ გადაწყვიტა.

„სოშოს“ მწვრთნელი გი ლაკომბი „ინტერთან“ მატჩის შემდეგ ხაროდა, რადგან მეტოქესთან ჩამორჩენა მისმა გუნდმა ორჯერ გააბათილა.

რესტორანდაბომბილი კრისტიან ვიერი ეტყობა, შეშინდა და ანგარიში მერვე წუთზევე გახსნა. პიერ ალან ფროსა და ალვარო რეკობას გოლები ორ წუთში ჩაეტია და „ინტერი“ კვლავ დაწინაურდა, მაგრამ ფრომ შეხვედრის დასრულებამდე ათიოდ წუთით ადრე გაათანაბრა.

„გალათასარაის“ მცველებმა მატჩის დასაწყისშივე უპატიებელი შეცდომა დაუშვეს. ხელოვნური თამაშგარის შექმნას ცდილობდნენ და სონი ანდერსონმა სტამბოლელები დასაჯა. გააფთრებული ფარიდ მონდრაგონისთვის უფლება რომ მიეცათ, მცველებს სათითაოდ გატყეპდა.

ტაიმის შუაწელში საჯარიმოში შეჭრილმა რიკელმემ მეურვე გააბითურა და მონდრაგონს მეორედ გაუტანა.

„გალათასარაი“ ბრაზილიელმა პრატესმა იხსნა. მისი დარტყმული „ვილიარეალის“ მეკარემ მოიგერია, ერდოგანმა კი საგოლედ დაამატა. პრატესმა შესვენების შემდეგ საჯარიმოს შესრულება იკისრა და ამჯერად ბურთი პირდაპირ კარში ჩასვა.

ბრონდბიუში რონალდინიომ გაილაღა. მან ძალიან კარგად ითამაშა და ნამატჩევს მწვრთნელისგან ქება დაიმსახურა: „რონალდინიოს გოლი ფანტასტიკური იყო“ — თქვა რაიკარდმა. „ბარსას“ ბრაზილიელმა ასე გაიტანა: სტუმრების სასარგებლოდ საჯარიმო დარტყმა დაინიშნა, რომელიც მწვრთნელისგან ქებულმა შეასრულა. ბურთი ხარიხას მოხვდა, მოედანზე დაბრუნდა და სანამ მცველები გონს მოეგებოდნენ, რონალდინიომ მიუსწრო და მეორე ცდით იხეირა.

ჟერარ ულიემ „ლევსკის“ დამარცხებით ოდნავ ამოისუნთქა, თუმც კი შეხვედრის დაწყებიდან ერთი საათის მანძილზე გვარიანად ნერვიულობდა, რადგან გოლი არ ჩანდა. მერსისაიდელებმა „ლევსკი“ სამ წუთში სტივენ ჯერარდისა და ჰარი კიუელის გოლებით მოახრჩვეს.

**ვაჟა ხუციშვილი**



ბრონდბიუ — ბარსელონა. სტუმართა გამარჯვებისა რონალდინიომ გაიტანა

# გერმანია

ვაჟა ხუციშვილი



ოლივერ კანს და ოტმარ ჰიცფელდს ფრანც ბეკენბაუერმა „რეალის" დავიწყება ურჩია

## ნუ გადაჰყვებით რეალს!

| XXII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბაიერნი | — | ვოლფსბურგი |
| აინტრახტი | — | გლადბახი |
| ბოხუმი | — | ჰანზა |
| ჰამბურგი | — | ლევერკუზენი |
| კიოლნი | — | მიუნხენი |
| ვერდერი | — | დორტმუნდი |
| შტუტგარტი | — | შალკე |
| **ხვალ** | | |
| ჰანოვერი | — | ჰერტა |
| ფრაიბურგი | — | ლაუტერნი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვერდერი | 21 | 15 | 4 | 2 | 52:21 | 49 |
| ბაიერნი | 21 | 12 | 6 | 3 | 45:22 | 42 |
| შტუტგარტი | 21 | 11 | 6 | 4 | 27:10 | 39 |
| ლევერკუზენი | 21 | 10 | 6 | 5 | 38:25 | 36 |
| ბოხუმი | 21 | 10 | 6 | 5 | 36:24 | 36 |
| დორტმუნდი | 21 | 10 | 4 | 7 | 36:28 | 34 |
| შალკე | 21 | 8 | 8 | 5 | 26:23 | 32 |
| ვოლფსბურგი | 21 | 9 | 1 | 11 | 40:40 | 28 |
| ჰამბურგი | 21 | 7 | 6 | 8 | 28:34 | 27 |
| ჰანზა | 21 | 7 | 5 | 9 | 32:32 | 26 |
| ფრაიბურგი | 21 | 7 | 4 | 10 | 30:46 | 25 |
| ჰანოვერი | 21 | 6 | 6 | 9 | 37:47 | 24 |
| მიუნხენი | 21 | 6 | 5 | 10 | 21:32 | 23 |
| გლადბახი | 21 | 5 | 6 | 10 | 22:30 | 21 |
| ლაუტერნი | 21 | 7 | 3 | 11 | 23:34 | 21 |
| აინტრახტი | 21 | 5 | 5 | 11 | 22:32 | 20 |
| ჰერტა | 21 | 4 | 7 | 10 | 20:41 | 19 |
| კიოლნი | 21 | 4 | 4 | 13 | 16:30 | 16 |

„კაიზერსლაუტერნს" დაკლებული აქვს 3 ქულა

ფრანც ბეკენბაუერი „ბაიერნის" მადრიდის „რეალის" წინაალმდეგ თამაშით კმაყოფილი დარჩა, მაგრამ გუნდს სამეფო კლუბის დავიწყება და „ვოლფსბურგზე" ფიქრი ურჩია. „რეალი" თავიდან უნდა ამოვიღოთ. ჩვენ ბუნდესლიგაზე უფრო უნდა ვიფიქროთ, ვიდრე ჩემპიონთა ლიგაზე, იმიტომ კი არა, რომ „ვოლფსბურგთან" „რეალზე" მეტი მოტივაცია გვჭირდება. გუნდი ახალი წლის დადგომიდან მხოლოდ მადრიდელ მეტოქეზე საუბრობდა და ამ ლაქლაქში შინაური ჩემპიონატის არსებობა კინალამ დაავიწყდა" — თქვა კაიზერ ფრანცმა.

„ბაიერნი" შვიდი ქულით ჩამორჩება „ვერდერს". მიუნხენელებს ბრემენელთა დაწევა და გადასწრება თუ სურთ, თამაში თამაშზე უნდა მოიგონ. მოკლედ, გერმანიის ჩემპიონებს „ვოლფსბურგი" ესტუმრებათ. „მგლებს" ფრე ძალიან არ უყვართ და საეჭვოა, რომ მაინცდამაინც დღეს გააზერხონ ამ სეზონში მეორე ზავი.

„ვერდერი" დორტმუნდის „ბორუსიას" უმასპინძლებს და შეეცდება, ტრადიცია დაარღვიოს. ბოლო ხუთი წლის მანძილზე „მუსიკოსებმა" „შავ-ყვითლები" შინ მხოლოდ ერთხელ დაამარცხეს. დამხვდურებს ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები ჯანზე ჰყავთ, სტუმრებს კი მარსიო ამოროზო და კრისტოფ მეცელდერი დააკლდებათ.

„ჩელსისთან" მარცხის შემდეგ „შტუტგარტს" გელზენკირხენის „შალკე" ეწვევა, რომელმაც მეორე წრის განახლებიდან საკმაოდ მოუმატა და ცხრილში ზევით მიიწევს. შტუტგარტელებს ტრავმიანობა არ აწუხებთ, „შალკეს" კი ურუგვაელი გუსტავო ვარელა არ ეყოლებათ.

ზედიზედ ორი მოგების კვალზე „ჰერტამ" წინა ტურში შინ „აინტრახტთან" წააგო და ახლა სტუმრად ქულაზეც არ იტყვის უარს, მაგრამ „ჰანოვერი" მხოლოდ მოგებაზე ფიქრობს, რადგან ნახევარმცველი კრუპნიკოვიჩი და ფორვარდი ტომაშ ბრდარიჩი დაეხმარებიან.

გასულ უქმეებზე თითქმის მოგებული მატჩი „ფრაიბურგმა" მიონხენგლადბახში იმიტომ დათმო, რომ ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი არ ჰყავდა. გამოჯანმრთელებულები ხვალ გუნდს დაუბრუნდებიან. „კაიზერსლაუტერნმა" ახალი მწვრთნელის, კურტ იარას თამადობით პირველი მატჩი „შტუტგარტთან" მოიგო და ცხრილის ძირიდან ამოსვლას ლამობს, ამიტომ ფრაიბურგში გვარიანი ბრძოლა გაიმართება.

დღეს შედგება ძველი ნაცნობების შეხვედრა. კლაუს ტოპმიოლერი „ჰამბურგით" ლევერკუზენელი შეგირდების მზადყოფნას შეამოწმებს, რომლებიც მეორე წრის დაწყებიდან მკვახედ გამოიყურებიან. მასპინძლებს მთავარმეკარე მარტინ პიკენჰაგენი და ორი ნახევარცველი — ვიკი და ჰოლერბახი არ ეყოლებათ. სტუმრები ბრაზილიელ მცველ ჟუანს და თურქ ილდირაი ბაშთურქს მოისაკლისებენ.

# ესპანეთი

ლადო ხომერიკი

## ისევ ის ტრისტანე

| XXVI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| მალიორკა | — | ატლეტიკო |
| ბეტისი | — | სევილია |
| **ხვალ** | | |
| დეპორტივო | — | ბარსელონა |
| ესპანიოლი | — | ვალენსია |
| რეალი | — | სელტა |
| სოსიედადი | — | ალბასეტე |
| ვალიადოლიდი | — | სარაგოსა |
| ვილიარეალი | — | ბილბაო |
| მურსია | — | ოსასუნა |
| მალაგა | — | რასინგი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 25 | 17 | 5 | 3 | 50:27 | 56 |
| ვალენსია | 25 | 15 | 6 | 4 | 46:18 | 51 |
| დეპორტივო | 25 | 15 | 5 | 5 | 41:17 | 50 |
| ბარსელონა | 25 | 12 | 7 | 6 | 39:28 | 43 |
| ბილბაო | 25 | 10 | 8 | 7 | 32:29 | 38 |
| ატლეტიკო | 25 | 10 | 7 | 8 | 31:31 | 37 |
| ბეტისი | 25 | 9 | 9 | 7 | 33:27 | 36 |
| ვილიარეალი | 25 | 10 | 6 | 9 | 36:34 | 36 |
| ოსასუნა | 25 | 8 | 11 | 6 | 25:22 | 35 |
| სევილია | 25 | 9 | 7 | 9 | 35:27 | 34 |
| რასინგი | 25 | 9 | 6 | 10 | 33:38 | 33 |
| მალაგა | 25 | 10 | 2 | 13 | 35:40 | 32 |
| სოსიედადი | 25 | 8 | 7 | 10 | 30:36 | 31 |
| ვალიადოლიდი | 25 | 7 | 8 | 10 | 28:36 | 29 |
| მალიორკა | 25 | 8 | 5 | 12 | 29:43 | 29 |
| სელტა | 25 | 6 | 9 | 10 | 34:43 | 27 |
| სარაგოსა | 25 | 7 | 5 | 13 | 27:36 | 26 |
| ალბასეტე | 25 | 7 | 5 | 13 | 24:34 | 26 |
| ესპანიოლი | 25 | 6 | 2 | 17 | 24:47 | 20 |
| მურსია | 25 | 2 | 10 | 13 | 22:41 | 16 |



პირველ წრეში ვალტერ პანდიანის „დეპორტივომ" „ბარსელონა" „კამპ ნოუზე" 2:0 დაამარცხა

**მთავარი** მატჩი კვირას „რიასორზე" გაიმართება — „დეპორტივო" ფრანკ რაიკარდის „აწყვეტილ" „ბარსელონას" უმასპინძლებს, გუნდს რომელსაც იანვრის დასაწყისიდან მოყოლებული სიტყვა „წაგება" რას ნიშნავს, საერთოდ დაავიწყდა. რონალდინიოს საუკეთესო ფორმაში ყოფნით თუ ედგარ დავიდსის ჩაუქრობით მოძლიერებულმა კატალონიურმა არმადამ მე-18 ტურის მერე 6 შთამბეჭდავი გამარჯვება იზეიმა.

გალისიური „დეპორის" მეკარე ხოსე ფრანსისკო მოლინას მისადგომები ბილბაოელმა იესტემ 21-ე ტურში 49-ე წუთზე აიღო და იმის შემდეგ, ლაკორუნიული ინჩასობის გულის გასახარად, „რიასორის" მეკარე მოწინაალმდეგეებისთვის შეუვალ ქვა-რკინად იქცა. 401 წუთია, რაც მოლინას მეტოქეთა ფორვარდების ბედნიერი ყიჟინა არ მოუსმენია და თუ საპრიმერო ქრონიკებს ვენდობით, არც „ბარსელონასთან" უნდა მოისმინოს — ხავიერ ირურეტას სამფლობელოში კატალონიელთა ბოლო 11 ვიზიტიდან 9 მათი წაგებით გასრულდა. ნაკლებად მოსალოდნელია, რომ გამოცდილმა მეკარემ მარტო ისტორიაზე დაყრდნობით სცადოს მუდამ სახიფათო რონალდინიოსა და კომპანიის დაოკება.

გალისიურ შერკინებას პირინეელთა ყველაზე სკანდალური არბიტრი, ტრისტანე ოლივა უმსაჯებს, „რეალ" — „ვალენსიას" მატჩის გახმაურებული პენალტის შემოქმედი. შეგახსენებთ, მაშინ „ვალენსია" „ბერნაბეუზე" 1:0-ს იგებდა და გაიმარჯვებდა კიდეც, სენიორ ოლივას რაულთან საგოლე კომბინაცია რომ არ გაეთამაშებინა — ტრისტანემ რაულის გამო მარჩენას თერთმეტმეტრიანი საჯარიმო აჰკიდა და ფიგუმაც კანისარესს გოლი გაუტანა. ამიტომაც გირჩევთ, „რიასორის" შედეგს გაორმაგებული ყურადღებით დაველოდოთ — საინტერესოა, ამჯერად ვის აზეირებს მსაჯი პენალტით.

რაც შეეხება დანარჩენს — დღეს ანდალუზიურ „რუის დე ლოპერაზე" სამკვდროსასიცოცხლო ჯახი შედგება იქაურ „ბეტისსა" და „სევილიას" შორის. ესპანური უმოწყალო პრიმერას მასშტაბებისთვისაც კი ჭეშმარიტად დიდი ბრძოლა გაიმართება — ორი სევილიური კლუბი მტრულ ურთიერთობას მძინვარე დერბიში გაარკვევს. სტუმარ-მასპინძელი ამჟამად შესამჩნევ ალმაფრენას განიცდის — ფერნანდესის „ბეტისი" 8 ტურია, არავის დაუმარცხებია, ხოლო კაპაროსის ბიჭებმა ბოლო 3 თამაშში „სოსიედადი", „მურსია" და „მალიორკა" დაამწუხრეს.

ბენიტესის „ვალენსია" მარადიულ კრიზისში მყოფ „ესპანიოლს" ალბათ „მონჟუიკის" მშობლიურ გარემოს კიდევ ერთხელ ჩაუმწარებს, ხოლო მადრიდის „ატლეტიკო" კუნძულებზე „მალიორკას" ოდენ ერთი მიზნით ესტუმრება — ხუთმატჩიანი უიღბლო სერიის შემდეგ ბოლოს და ბოლოს, ნანატრი გამარჯვება მოიპოვოს. თითო-ოროლა სიტყვა ბედისგან დაჩაგრულთა შესახებაც ვთქვათ — ვიგოს „სელტას" ტრავმირებულთა კოლონას (ჯოვანელა, ხესული, ხუან ფრანი, სერხიო) გუნდის ძირითადი გოლკიპერი კავალიეროც შეემატა, ვისაც ლონდონის არსენალელმა ედუმ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში სახეში მუხლის ჩარტყმით დაამახსოვრა თავი. ანტიჩის სადამრიგებლო კლუბის მეტოქე კი, არც მეტი, არც ნაკლები, კარლუშ კეიროშის ჯანმრთელი მადრიდის „რეალი" იქნება...



ხოსე ანტონიო რეიესი, ჟილბერტო სილვა და ეშლი კოული, შესაძლოა, დღეს მოედანზე ვერც გავიდნენ

# ინგლისი

კოტე [illegible]

# არსენალი პირველ სართულს და სტადიონს იშენებს

**წინა ტურში** ათივე მატჩის ჩატარებას ხელი ასოციაციის თასზე „პორტსმუთისა“ და „ლივერპულის“ გადათამაშებამ შეუშალა. ტური სრულად არც ამ უქმეებზე ჩატარდება, რისი მიზეზიც ამჯერად ლიგის თასის ფინალია.

პრემიერლიგის ლიდერი „არსენალი“ საჩემპიონთალიგო ზონაში შეღწევის მოსურნე „ჩარლტონ ატლეტიკს“ მასპინძლობს. ამ სეზონში დაუმარცხებელ „მეთოფეებს“ უკეთესი რომ არ შეიძლება, ისეთი კვირა ჰქონდათ — ჯერ იყო და, საჩემპიონო ბრძოლაში „მანჩესტერი“ მთელი შვიდი ქულით ჩამოიტოვეს, მერე ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში „სელტას“ სტუმრად სძლიეს და ახალი სტადიონის მშენებლობასაც საფუძველი ჩაუყარეს. შემადგენლობაში კარგი ამბავი კი ის არის, რომ ჰოლანდიელი ფორვარდი დენის ბერხკამპი გამოჯანმრთელდა და ესპანელ ხოსე ანტონიო რეიეს სათადარიგოთა სკამზე დასვამს. ერთი ეგაა, ეშლი კოულის და ჟილბერტოს თამაში საეჭვოა. „ჩარლტონის“ იმედი კი იმას უკავშირდება, რომ ორი წლის წინ „ჰაიბერიზე“ 4:2 მოიგო.

„არსენალი“ საპირისპიროდ ძალიან ცუდი კვირა ჰქონდა „მანჩესტერ იუნაიტედს“. ლიდერს შვიდი ქულით რომ ჩამორჩა, უკვე ვთქვით და ჩემპიონათა ლიგაშიც „პორტუსთან“ დამარცხდა. მანჩესტერელთა „ფულემთან“ მატჩი კი ერთგვარი რეპეტიცია იქნება მომდევნო კვირაში მათი სათასო დაპირისპირებისა. ისინი „ოლდ ტრეფორდზე“ ასოციაციის თასის მეოთხედფინალში შეხვდებიან. ლონდონელი გულშემატკივრები უეჭველად მკვახე შეძახილებით და სტვენით შეეგებებიან „ფულემიდან“ „იუნაიტედში“ ახლახან გადაბარგებულ ლუი საჰას. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ სერ ალექს ფერგიუსონს მცველები არ ჰყავს — მიკაელ სილვესტრი დაშვებულია, რიო ფერდინანდი და გარი ნევილი კი დისკვალიფიცირებულები არიან.

„მანჩესტერი“ თუ ლონდონში ჩადის, ლონდონური „ჩელსი“ მანჩესტერში „სიტის“ სტუმრობს. „სიტიმ“ წინა უქმეებზე, როგორც იქნა, ნავსი გატეხა და 14 მოუგებელი მატჩის მერე „ბოლტონი“ დაამარცხა. თუმცა სიტელთა კმაყოფილება ნაადრევი უნდა იყოს, რაკი ამ ტურში ხომ „ჩელსის“ ხვდებიან, ხოლო მომდევნოში მანჩესტერული დერბი ელით. ჩელსელებს კი „შტუტგარტის“ ძლევამ გუნება გაუკეთათ და მათი ერთადერთი წუხილი ადრიან მუტუს ტრავმაა.

გაისად ევროთასებზე თამაშის მოსურნენი, „ლივერპული“ და „ნიუკასლი“ ამ ტურში სტუმრად თამაშობენ გაჭირვებულ გუნდებთან. ორთავეს მატჩები ხვალაა.

„ლივერპულის“ მეტოქე „ლიდსია“, პრემიერლიგის მაჩანჩალა გუნდი, რომელმაც წინა ტურში სენსაცია გამოაცხო და „ოლდ ტრეფორდიდან“ ქულა წაიღო. ლიდსელებს სალივერპულოდ დისკვალიფიცირებული მეკარე პოლ რობინსონიც უბრუნდებათ. „ლივერპულს“ კი, რომელმაც წინა უქმეებზე სათასო გადათამაშება წააგო, ხოლო შუა კვირაში უეფას თასზე „ლევსკი“ დაამარცხა, ფორვარდი ფლორენ სინამა პონგოლე არ ეყოლება.

„ნიუკასლის“ მასპინძელმა „პორტსმუთმა“ თასიდან „ლივერპული“ კი დაიფრინა, მაგრამ ტრავმებითაა გატანჯული, „კაჭკაჭებს“ კი სავარაუდოდ, ლი ბოიერი დაუბრუნდებათ, ვისაც სამი თვეა არ უთამაშია.

| XXVII ტური | | |
| --- | --- | --- |
| **დღეს** | | |
| არსენალი | — | ჩარლტონი |
| ბლექბერნი | — | საუთჰემპტონი |
| ევერტონი | — | ასტონ ვილა |
| ფულემი | — | მანჩესტერი |
| ლესტერი | — | ვულვზი |
| სიტი | — | ჩელსი |
| **ხვალ** | | |
| ლიდსი | — | ლივერპული |
| პორტსმუთი | — | ნიუკასლი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| არსენალი | 26 | 19 | 7 | 0 | 51:17 | 64 |
| მანჩესტერი | 26 | 18 | 3 | 5 | 50:24 | 57 |
| ჩელსი | 26 | 17 | 4 | 5 | 47:21 | 55 |
| ნიუკასლი | 26 | 10 | 11 | 5 | 37:27 | 41 |
| ჩარლტონი | 26 | 11 | 7 | 8 | 37:32 | 40 |
| ლივერპული | 25 | 10 | 8 | 7 | 36:27 | 38 |
| ასტონ ვილა | 26 | 10 | 7 | 9 | 32:30 | 37 |
| ბირმინგემი | 25 | 9 | 9 | 7 | 25:28 | 36 |
| ფულემი | 26 | 10 | 5 | 11 | 38:37 | 35 |
| ტოტენჰემი | 26 | 10 | 4 | 12 | 39:42 | 34 |
| ბოლტონი | 26 | 8 | 10 | 8 | 32:40 | 34 |
| საუთჰემპტონი | 26 | 8 | 8 | 10 | 26:26 | 32 |
| მიდლსბრო | 25 | 8 | 7 | 10 | 27:31 | 31 |
| სიტი | 26 | 6 | 9 | 11 | 36:38 | 27 |
| ბლექბერნი | 26 | 7 | 6 | 13 | 38:43 | 27 |
| ევერტონი | 26 | 6 | 8 | 12 | 31:39 | 26 |
| პორტსმუთი | 25 | 6 | 5 | 14 | 28:39 | 23 |
| ვულვზი | 26 | 5 | 8 | 13 | 24:52 | 23 |
| ლესტერი | 26 | 4 | 10 | 12 | 37:51 | 22 |
| ლიდსი | 26 | 5 | 6 | 15 | 24:51 | 21 |

# ინგლისი. ლიგის თასი. ფინალი. ხვალ

## ბოლტონი VS მიდლსბრო

# დიდი ფინალის პატარა ინტრიგები

## სემმა და სტივმა ინგლისს თასი დაუბრუნეს


სემ ალარდაისი

ხვალ ინგლისის ლიგის თასის ფინალია, რომელსაც ბოლო წლებში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, კარდიფის „მილენიუმი“ უმასპინძლებს. ინგლისელებს საზოგადოდ უყვართ ტრადიციები, მაგრამ დახეთ, რა ხდება — 1996 წლის მერე ლიგის თასი ინგლისელ მწვრთნელს არ მოუგია. ეს რვაწლიანი ტრადიცია კი ხვალ უთუოდ დაირღვევა — „ბოლტონსაც“ და „მიდლსბროსაც“ ინგლისელები წვრთნიან. „ბოლტონს“ სემ ალარდაისი, „ბოროს“ კი — სტივ მაკლარენი.

თავისთავად, თასის ფინალში თამაშს რაღა დამატებითი მოტივაცია უნდა ჰქონდეს, მაგრამ მაინც ვთქვათ. ორივე გუნდი პრემიერლიგის ცხრილის შუაშია გაჩხერილი და ამ სეზონში რაკი ვერც დაწინაურებისთვის იბრძვიან და არც გავარდნა ემუქრებათ, სხვა მიზანი არ აქვთ. ამასთანავე, ლიგის თასის მოგება ორივესთვის ერთადერთი შანსია მომდევნო სეზონში უეფას თასზე სათამაშოდ.

თავიანთი პატარ-პატარა დამატებითი მოტივაცია ფეხბურთელებსაც აქვთ. მაგალითად, ბოლტონელ ჯეიჯეი ოკოჩას, ვინც ოლიმპიური ჩემპიონია (ატლანტა, 1996) და აფრიკის თასიც მოგებული აქვს (1994), ევროპულ საკლუბო ფეხბურთში არასდროს არაფერი მოუგია. ფრანკფურტის „აინტრახტში“, სტამბოლის „ფენერბაჰჩეში“ და პარიზულ „სენ ჟერმენში“ ერთი პატარა ჯილდოც ვერ მოიხვეჭა. „ბოლტონი“ ოკოჩას მეოთხე ევროპული გუნდია, თასამდე კი ერთი ხელის გაწვდენაა.

„თასის მოგების ბრწყინვალე შანსი მოეცა — თქვა წლევანდელი აფრიკის თასის საუკეთესო ფეხბურთელმა — ეს დიდი ფინალი, დიდი დღე იქნება“.

ისე, „ბოლტონიც“ და „მიდლსბროც“ უცხოელთა გუნდებია. ანუ, მათი საუკეთესო ფეხბურთელები არაინგლისელები არიან.

ოკოჩა ხომ ვთქვით, მისი თანაგუნდელია ფრანგი იური ჯორკაეფი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი.

თავისი ვარსკვლავები „ბოროსაც“ ჰყავს. ბასკი გაისკა მენდიეტა ორჯერ გავიდა ჩემპიონთა ლიგის ფინალში და ორჯერვე დამარცხდა და რაკი ფინალში თამაშის გამოცდილება სხვებზე მეტი აქვს, ასე თქვა: „ფინალის წინ ყველა წინა ამბავი უფასურდება. არ აქვს მნიშვნელობა, აქამდე ვინ როგორ ფორმაში იყო, ვის როგორი გუნდი ჰყავს და ფინალამდე ვინ დაამარცხა. მნიშვნელოვანი მხოლოდ ფინალის 90 წუთია“.

ცალკე თემაა ბრაზილიელი მსოფლიოს ჩემპიონი ჟუნინიო, რომელიც, სხვათა შორის, ერთ დროს მენდიეტას დაუძინებელი მტერი იყო. 1999 წელს ესპანეთის თასის ფინალში მენდიეტას „ვალენსიამ“ შავი დღე აყარა ჟუნინიოს „ატლეტიკოს“, მენდიეტამ კი მადრიდელებს ულამაზესი გოლი გაუტანა.

„მიდლსბროს“ და ჟუნინიოს ურთიერთობა კი ასეთია: ბრაზილიელი „მიდლსბროში“ 1997 წლამდე თამაშობდა და მაშინ ბოროტები ლიგის და ასოციაციის თასების ფინალში გავიდნენ. წავიდა ჟუნინიო და „ბოროს“ ჩავარდნის პერიოდი დაუდგა. ახლა, ჟუნინიოს კვლავ მობრუნების მერე, „ბორო“ ისევ ფინალშია.

ერთი საინტერესო ფაქტიც — „ბორო“ მთელი 128 წელია, ელის რაგინდარა ჯილდოს მოგებას.

„ბოლტონს“ ოთხჯერ აქვს მოგებული ასოციაციის თასი, ოღონდ ბოლოს ლამის ნახევარი საუკუნის წინ მოიგო, ლიგის თასს კი არასდროს დაუფლებია, თუმცა 1995 წელს ფინალში გავიდა. მაშინ „ლივერპულთან“ 1:2 წააგო.

თუ ფინალისტების ბოლოდროინდელ თამაშს გავიხსენებთ, „ბორო“ აშკარად უკეთ გამოიყურება — ბოროელებმა პრემიერლიგაში „მანჩესტერ იუნაიტედი“ ხომ დაამარცხა, ლიგის თასის ნახევარფინალში ორივე მატჩი მოუგო „არსენალს“. თუმც ობიექტურობისთვის ისიც უნდა ვთქვათ, რომ „არსენალმა“ ის მატჩები მეორე შემადგენლობით ჩაატარა, თორემ, როცა უძლიერესი შემადგენლობა ჰყავდა (პრემიერლიგის და ასოციაციის თასის მატჩებში) „ბორო“ ორჯერვე სასტიკად დაჯაბნა.

„ბოლტონს“ კი თებერვალში ერთი თამაშიც არ მოუგია. ბოლოს სულაც „სიტისთან“ წააგო 1:3, არადა, „სიტის“ იქამდე პრემიერლიგის 14 ტურში ვერ მოეგო.


სტივ მაკლარენი

ბოლოს კი თავში ნახსენებ ამბავს მივუბრუნდეთ. ბოლო ინგლისელი მწვრთნელი, რომელმაც ლიგის თასი მოიგო, ბრაიან ლითლი გახლდათ. მისმა „ასტონ ვილამ“ რვა წლის წინ ფინალში „ლიდსს“ 3:0 მოუგო. იმ „ასტონ ვილადან“ ორი ფეხბურთელი, გარეთ საუთგეიტი და უგო ეჰიოგუ ახლა „ბოროში“ თამაშობენ და მაშასადამე, ხვალ კიდევ ერთი ფინალი ელით. „ბოროს“ კაპიტნის, საუთგეიტისთვის ხვალინდელი მატჩი კარიერაში მე-600 იქნება.

**ირაკლი ნინიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იტალია

პაპუნა ქედია

# რა შეუძლია ლაციოს?

| XXIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| სიენა | — | რეჯინა |
| ემპოლი | — | უდინეზე |
| **ხვალ** | | |
| იუვენტუსი | — | ანკონა |
| პერუჯა | — | ბოლონია |
| ინტერი | — | ბრეშა |
| სამპდორია | — | კიევო |
| ლაციო | — | მილანი |
| ლეჩე | — | მოდენა |
| პარმა | — | რომა |

| სადღეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 22 | 17 | 4 | 1 | 43:13 | 55 |
| რომა | 22 | 15 | 5 | 2 | 47:9 | 50 |
| იუვენტუსი | 22 | 15 | 4 | 3 | 44:25 | 49 |
| ლაციო | 22 | 12 | 4 | 6 | 33:22 | 40 |
| პარმა | 22 | 11 | 6 | 5 | 32:26 | 39 |
| ინტერი | 22 | 10 | 6 | 6 | 38:20 | 36 |
| უდინეზე | 22 | 10 | 6 | 6 | 28:23 | 36 |
| სამპდორია | 22 | 7 | 9 | 6 | 27:26 | 30 |
| კიევო | 22 | 8 | 5 | 9 | 25:26 | 29 |
| ბოლონია | 22 | 6 | 7 | 9 | 23:29 | 25 |
| ბრეშა | 22 | 5 | 9 | 8 | 30:35 | 24 |
| მოდენა | 22 | 5 | 8 | 9 | 18:28 | 23 |
| ლეჩე | 22 | 6 | 4 | 12 | 27:39 | 22 |
| სიენა | 22 | 5 | 6 | 11 | 28:36 | 21 |
| რეჯინა | 22 | 4 | 9 | 9 | 19:33 | 21 |
| ემპოლი | 22 | 4 | 5 | 13 | 16:39 | 17 |
| პერუჯა | 22 | 1 | 11 | 10 | 25:40 | 14 |
| ანკონა | 22 | 0 | 6 | 16 | 8:42 | 6 |

| 5043 | მალაგა-რასინგი | 2,5 | 2,05 | 4,0 | 1,12 | 1,53 | 1,35 |
| 5044 | ვალიადოლიდი-სარაგოსა | 2,45 | 2,05 | 4,2 | 1,11 | 1,54 | 1,37 |
| 5045 | ვილიარეალი-ბილბაო | 2,7 | 2,05 | 3,6 | 1,16 | 1,54 | 1,3 |
| 5046 | ესპანიოლი-ვალენსია | 5,0 | 2,15 | 2,15 | 1,5 | 1,5 | 1,07 |
| 5047 | რეალი-სელტა | 1,65 | 2,8 | 6,0 | 1,03 | 1,29 | 1,9 |
| 5049 | დეპორტივო-ბარსელონა | 2,45 | 2,05 | 4,2 | 1,11 | 1,54 | 1,37 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5309 | არსენალი-ჩარლტონი | 1,8 | 1,8 |
| 5311 | ბლეკბერნი-საუთჰემპტონი | 1,75 | 1,85 |
| 5312 | ევერტონი-ასტონ ვილა | 1,7 | 1,9 |
| 5313 | ფულემი-მანჩესტერი | 1,65 | 1,95 |
| 5314 | ლესტერი-ვულვერჰემპტონი | 1,7 | 1,9 |
| 5315 | სიტი-ჩელსი | 1,7 | 1,9 |
| 5316 | ლიდსი-ლივერპული | 1,7 | 1,9 |
| 5317 | პორტსმუთი-ნიუკასლი | 1,7 | 1,9 |
| 5318 | შტუტგარტი-შალკე | 1,65 | 1,95 |
| 5319 | ბოხუმი-ჰანზა | 1,65 | 1,95 |
| 5320 | კიოლნი-მიუნხენი | 1,6 | 2,0 |
| 5321 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 1,6 | 2,0 |
| 5322 | აინტრახტი-მიონხენგლადბახი | 1,6 | 2,0 |
| 5323 | ვერდერი-დორტმუნდი | 1,6 | 2,0 |
| 5324 | ბაიერნი-ვოლფსბურგი | 1,65 | 1,95 |
| 5326 | ჰანოვერი-ჰერტა | 1,6 | 2,0 |
| 5327 | ფრაიბურგი-ლაუტერნი | 1,6 | 2,0 |
| 5328 | სიენა-რეჯინა | 1,65 | 1,95 |
| 5329 | ემპოლი-უდინეზე | 1,65 | 1,95 |
| 5330 | ლეჩე-მოდენა | 1,65 | 1,95 |
| 5331 | პარმა-რომა | 1,65 | 1,95 |
| 5332 | იუვენტუსი-ანკონა | 2,0 | 1,6 |
| 5334 | პერუჯა-ბოლონია | 1,65 | 1,95 |
| 5335 | ინტერი-ბრეშა | 1,7 | 1,9 |
| 5337 | სამპდორია-კიევო | 1,65 | 1,95 |
| 5338 | ლაციო-მილანი | 1,6 | 2,0 |
| 5339 | მალიორკა-ატლეტიკო | 1,65 | 1,95 |
| 5340 | ბეტისი-სევილია | 1,65 | 1,95 |
| 5341 | სოსიედადი-ალბასეტე | 1,65 | 1,95 |
| 5342 | მურსია-ოსასუნა | 1,65 | 1,95 |
| 5343 | მალაგა-რასინგი | 1,6 | 2,0 |
| 5344 | ვალიადოლიდი-სარაგოსა | 1,65 | 1,95 |
| 5345 | ვილიარეალი-ბილბაო | 1,65 | 1,95 |
| 5346 | ესპანიოლი-ვალენსია | 1,65 | 1,95 |
| 5347 | რეალი-სელტა | 1,75 | 1,85 |
| 5349 | დეპორტივო-ბარსელონა | 1,6 | 2,0 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5509 | არსენალი-ჩარლტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5511 | ბლეკბერნი-საუთჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5512 | ევერტონი-ასტონ ვილა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5513 | ფულემი-მანჩესტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5514 | ლესტერი-ვულვერჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5515 | სიტი-ჩელსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5516 | ლიდსი-ლივერპული | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5517 | პორტსმუთი-ნიუკასლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5518 | შტუტგარტი-შალკე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5519 | ბოხუმი-ჰანზა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5520 | კიოლნი-მიუნხენი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5521 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5522 | აინტრახტი-მიონხენგლადბახი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5523 | ვერდერი-დორტმუნდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5524 | ბაიერნი-ვოლფსბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5526 | ჰანოვერი-ჰერტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5527 | ფრაიბურგი-კაიზერსლაუტერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5528 | სიენა-რეჯინა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5529 | ემპოლი-უდინეზე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5530 | ლეჩე-მოდენა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5531 | პარმა-რომა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5532 | იუვენტუსი-ანკონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5534 | პერუჯა-ბოლონია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5535 | ინტერი-ბრეშა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5537 | სამპდორია-კიევო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5538 | ლაციო-მილანი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5539 | მალიორკა-ატლეტიკო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5540 | ბეტისი-სევილია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5541 | სოსიედადი-ალბასეტე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5542 | მურსია-ოსასუნა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5543 | მალაგა-რასინგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5544 | ვალიადოლიდი-სარაგოსა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5545 | ვილიარეალი-ბილბაო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5546 | ესპანიოლი-ვალენსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5547 | რეალი-სელტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5549 | დეპორტივო-ბარსელონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5209 | არსენალი-ჩარლტონი | 2,1 | 1,55 |
| 5211 | ბლეკბერნი-საუთჰემპტონი | 1,7 | 1,9 |
| 5212 | ევერტონი-ასტონ ვილა | 1,8 | 1,8 |
| 5213 | ფულემი-მანჩესტერი | 2,0 | 1,6 |
| 5214 | ლესტერი-ვულვერჰემპტონი | 1,9 | 1,7 |
| 5215 | სიტი-ჩელსი | 1,9 | 1,7 |
| 5216 | ლიდსი-ლივერპული | 1,85 | 1,75 |
| 5217 | პორტსმუთი-ნიუკასლი | 1,9 | 1,7 |
| 5218 | შტუტგარტი-შალკე | 1,8 | 1,8 |
| 5219 | ბოხუმი-ჰანზა | 1,9 | 1,7 |
| 5220 | კიოლნი-მიუნხენი | 1,85 | 1,75 |
| 5221 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 1,95 | 1,65 |
| 5222 | აინტრახტი-მიონხენგლადბახი | 1,85 | 1,75 |
| 5223 | ვერდერი-დორტმუნდი | 1,95 | 1,65 |
| 5224 | ბაიერნი-ვოლფსბურგი | 2,1 | 1,55 |
| 5226 | ჰანოვერი-ჰერტა | 2,1 | 1,55 |
| 5227 | ფრაიბურგი-კაიზერსლაუტერნი | 2,0 | 1,6 |
| 5228 | სიენა-რეჯინა | 1,75 | 1,85 |
| 5229 | ემპოლი-უდინეზე | 1,75 | 1,85 |
| 5230 | ლეჩე-მოდენა | 1,75 | 1,85 |
| 5231 | პარმა-რომა | 1,85 | 1,75 |
| 5232 | იუვენტუსი-ანკონა | 2,1 | 1,5 |
| 5234 | პერუჯა-ბოლონია | 1,75 | 1,85 |
| 5235 | ინტერი-ბრეშა | 1,95 | 1,65 |
| 5237 | სამპდორია-კიევო | 1,8 | 1,8 |
| 5238 | ლაციო-მილანი | 1,85 | 1,75 |
| 5239 | მალიორკა-ატლეტიკო | 1,9 | 1,7 |
| 5240 | ბეტისი-სევილია | 1,7 | 1,9 |
| 5241 | სოსიედადი-ალბასეტე | 1,85 | 1,75 |
| 5242 | მურსია-ოსასუნა | 1,7 | 1,9 |
| 5243 | მალაგა-რასინგი | 1,85 | 1,75 |
| 5244 | ვალიადოლიდი-სარაგოსა | 1,7 | 1,9 |
| 5245 | ვილიარეალი-ბილბაო | 1,75 | 1,85 |
| 5246 | ესპანიოლი-ვალენსია | 1,8 | 1,8 |
| 5247 | რეალი-სელტა | 2,2 | 1,5 |
| 5249 | დეპორტივო-ბარსელონა | 1,85 | 1,75 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5409 | არსენალი-ჩარლტონი | 1,2 | 4,0 |
| 5411 | ბლეკბერნი-საუთჰემპტონი | 1,8 | 2,0 |
| 5412 | ევერტონი-ასტონ ვილა | 1,8 | 2,0 |
| 5413 | ფულემი-მანჩესტერი | 2,5 | 1,55 |
| 5414 | ლესტერი-ვულვერჰემპტონი | 1,75 | 2,1 |
| 5415 | სიტი-ჩელსი | 2,2 | 1,7 |
| 5416 | ლიდსი-ლივერპული | 2,0 | 1,8 |
| 5417 | პორტსმუთი-ნიუკასლი | 1,95 | 1,85 |
| 5418 | შტუტგარტი-შალკე | 1,75 | 2,1 |
| 5419 | ბოხუმი-ჰანზა | 1,55 | 2,5 |
| 5420 | კიოლნი-მიუნხენი | 1,8 | 2,0 |
| 5421 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 1,8 | 2,0 |
| 5422 | აინტრახტი-მიონხენგლადბახი | 1,8 | 2,0 |
| 5423 | ვერდერი-დორტმუნდი | 1,7 | 2,2 |
| 5424 | ბაიერნი-ვოლფსბურგი | 1,25 | 3,6 |
| 5426 | ჰანოვერი-ჰერტა | 1,8 | 2,0 |
| 5427 | ფრაიბურგი-კაიზერსლაუტერნი | 1,75 | 2,1 |
| 5428 | სიენა-რეჯინა | 1,7 | 2,2 |
| 5429 | ემპოლი-უდინეზე | 1,95 | 1,85 |
| 5430 | ლეჩე-მოდენა | 1,65 | 2,3 |
| 5431 | პარმა-რომა | 2,1 | 1,75 |
| 5432 | იუვენტუსი-ანკონა | 1,05 | 6,5 |
| 5434 | პერუჯა-ბოლონია | 1,85 | 1,95 |
| 5435 | ინტერი-ბრეშა | 1,3 | 3,4 |
| 5437 | სამპდორია-კიევო | 1,7 | 2,2 |
| 5438 | ლაციო-მილანი | 1,9 | 1,9 |
| 5439 | მალიორკა-ატლეტიკო | 1,8 | 2,0 |
| 5440 | ბეტისი-სევილია | 1,8 | 2,0 |
| 5441 | სოსიედადი-ალბასეტე | 1,4 | 3,0 |
| 5442 | მურსია-ოსასუნა | 1,9 | 1,9 |
| 5443 | მალაგა-რასინგი | 1,75 | 2,1 |
| 5444 | ვალიადოლიდი-სარაგოსა | 1,75 | 2,1 |
| 5445 | ვილიარეალი-ბილბაო | 1,85 | 1,95 |
| 5446 | ესპანიოლი-ვალენსია | 2,4 | 1,6 |
| 5447 | რეალი-სელტა | 1,25 | 3,7 |
| 5449 | დეპორტივო-ბარსელონა | 1,75 | 2,1 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 28.02 | 18.30 | 6001 | გერმანია ბლ (XXII) | 25 და ნაკლები – 1,9 | 27 და მეტი – 1,9 |
| 28.02 | 21.00 | 6002 | იტალია A (XXIII) | 23 და ნაკლები – 1,9 | 25 და მეტი – 1,9 |
| 28.02 | 22.30 | 6003 | ესპანეთი Iდ (XXVI) | 25 და ნაკლები – 1,9 | 27 და მეტი – 1,9 |
| 28.02 | 20.15 | 6004 | საფრანგეთი Iდ (XXVI) | 21 და ნაკლები – 1,9 | 23 და მეტი – 1,9 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5109 | არსენალი-ჩარლტონი | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,3 | 15,0 | 25,0 | 15,0 | 15,0 |
| 5111 | ბლეკბერნი-საუთჰემპტონი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5112 | ევერტონი-ასტონ ვილა | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5113 | ფულემი-მანჩესტერი | 8,0 | 10,0 | 20,0 | 9,0 | 4,4 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,3 |
| 5114 | ლესტერი-ვულვერჰემპტონი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5115 | სიტი-ჩელსი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| 5116 | ლიდსი-ლივერპული | 4,8 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 5117 | პორტსმუთი-ნიუკასლი | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 5118 | შტუტგარტი-შალკე | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5119 | ბოხუმი-ჰანზა | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,5 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 5120 | კიოლნი-მიუნხენი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5121 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5122 | აინტრახტი-მიონხენგლადბახი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5123 | ვერდერი-დორტმუნდი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5124 | ბაიერნი-ვოლფსბურგი | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,3 | 15,0 | 25,0 | 14,0 | 14,0 |
| 5126 | ჰანოვერი-ჰერტა | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5127 | ფრაიბურგი-კაიზერსლაუტერნი | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5128 | სიენა-რეჯინა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5129 | ემპოლი-უდინეზე | 4,0 | 10, | 020,0 | 4,8 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5130 | ლეჩე-მოდენა | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5131 | პარმა-რომა | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,2 |
| 5132 | იუვენტუსი-ანკონა | 1,15 | 25,0 | 60,0 | 3,6 | 8,5 | 30,0 | 30,0 | 25,0 | 30,0 |
| 5134 | პერუჯა-ბოლონია | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5135 | ინტერი-ბრეშა | 1,9 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5137 | სამპდორია-კიევო | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5138 | ლაციო-მილანი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5139 | მალიორკა-ატლეტიკო | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 5140 | ბეტისი-სევილია | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5141 | სოსიედადი-ალბასეტე | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 5142 | მურსია-ოსასუნა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5143 | მალაგა-რასინგი | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5144 | ვალიადოლიდი-სარაგოსა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5145 | ვილიარეალი-ბილბაო | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5146 | ესპანიოლი-ვალენსია | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,4 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 5147 | რეალი-სელტა | 1,8 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 5149 | დეპორტივო-ბარსელონა | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |

## საქართველოს ჩემპიონატი



ოთარ ხმელიძეს კიდევ ერთი თაობა მოჰყვება

# პატარა რუსთავი დიდია კიდევაც დაიზარდნენ

27 თებევალი. ვერის ბაღი

**რუსთავი 91:90 სტუ**

21:30 30:19 21:23 19:18

რუსთავი: არწივიძე (14), ჯიმშელეიშვილი (15), ჩაჩუა (8), ბერუაშვილი (16), დანელიანი (16); ტყეშელაშვილი (13), გაბისონია (9)

სტუ: ნიკოლაძე (12), დავითულიანი (7), მარკოიშვილი (12), ლ. შანიძე (18), ოგანესიანი (26); ბაბიაშვილი (8), გაგნიძე (4), მიქაძე (3), ახალკაცი

მსაჯები: მაკა კუპატაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

ბოლო დღეებში ეროვნულ ჩემპიონატში იმდენი სენსაცია გამოცხვა, მთელ სეზონს გასწვდება. ხუთშაბათს ეგრეთ ჩათვლილმა უსუსტესმა „მაკაბიმ“ ფსევდობობოლა თსუ დაამარცხა, გუშინ კი ლიდერთაგან დაცლილმა „რუსთავმა“ მოწინავე „სტუ-ჯეოსელი“ იმსხვერპლა.

ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა კვირას „დინამოს“ მოუგო და გუშინ „რუსთავთან“ სათამაშოდ რომ გავიდა, ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად. ისიც სათქმელია, რომ ტექნიკოსებს ტრავმების გამო ორი ლიდერი, ირაკლი ჯაფარიძე და შიო ხეცურიანი აკლდათ. სამაგიეროდ, მხრის ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ ზვიად ბაბიაშვილი დაუბრუნდათ, რომელიც ფორმაში ვერაა და სტუდენტებსაც ბევრით ვერ დაეხმარა.

არადა, თამაში ისე დაიწყო, როგორც უნდა დაწყებულიყო. თბილისელი არმენ ოგანესიანი თავიდანვე გამაგრდა რუსთაველთა ფარქვეშ, ლუკა შანიძე კი პერიმეტრიდან უტევდა სტუმრებს და სტუ ჯერ 7:0 დაწინაურდა, პირველი მეოთხედის შუაწელში კი 15-ქულიან უპირატესობასაც მიაღწია.

ასეთ დროს, როცა შენზე სუსტ გუნდს ეთამაშები და ამხელა უპირატესობას მიაღწევ, ძნელია ისეთივე შემართებით გააგრძელო ბრძოლა, როგორც დაიწყე, სტუდენტებიც მოეშვნენ. რუსთაველებმა უმალ ისარგებლეს და იმდენი მოახერხეს, ნელ-ნელა მთელ მოედანზე გაბატონდნენ.

მეორე მეოთხედის შუაში მოედანზე კარგა ხნის უთამაშებელი ზვიად ბაბიაშვილი შემოვიდა. ტექნიკოსთა თავკაცმა ნუგზარ ჭეიშვილმა ეტყობა იფიქრა, ტრავმამოშუშებული მოთამაშის საადაპტაციოდ უკეთეს შანსს ვერ ვიპოვიო. ბაბიაშვილი მონდომებით კი ჩაერთო თამაშში, მაგრამ აშკარად ვერ იყო ჯანზე და უხეიროდ დარბოდა მოედანზე. რუსთაველთა მეფარეებიც ამ დროს გამოფხიზლდნენ — მიხეილ ბერუაშვილი და იური დანელიანი სტუ-ს სამწამიანში გამაგრდნენ და მანამ არ მოისვენეს, სანამ ანგარიში არ გაათანაბრეს — 37:37.

პირველი ტაიმი „რუსთავმა“ ორი ქულით მოიგო და თამაში თამაში ბოლომდე ქულაქულაში გაგრძელდა. ნუგზარ ჭეიშვილი ბევრს ცდილობდა, შეცვლებითა და ტაქტიკური გადაადგილებებით რამე შეეცვალა, მაგრამ რუსთაველებს რომ ფარქვეშ შეზღუდავდა, სამქულიანების სეტყვა ატყდებოდა თავს, პერიმეტრს გადახაზავდა და ფარქვეშეთში უჭირდა.

სტუ-მ ბოლო მეოთხედში პრესინგს მიმართა, მაგრამ ამით მხოლოდ იმას მიაღწია, რომ 6-ქულიანი ჩამორჩენა ერთამდე შეამცირა. ბოლო წუთებში ბევრი რამ იყო დამოკიდებული რუსთაველთა ნერვებზე, მაგრამ ახალგაზრდებს დანელიანს, ლევან ტყეშელაშვილს, დავით არწივიძეს ხელები არ აჰკანკალებიათ. სწორედ ამ ბიჭების დამსახურებაა, ქვემოქართლელების დაუგეგმავი გამარჯვება, მათ ვითარც დიდმა და გამოცდილმა კალათბურთელებმა აუღელვებლად ჩაყარეს გადამწყვეტი ბურთები უკანასკნელ წუთში.

**ირაკლი პერტაია**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 20 | 18 | 2 | +538 | 38 |
| დინამო | 21 | 16 | 5 | +433 | 37 |
| სტუ | 20 | 15 | 5 | +332 | 35 |
| რუსთავი | 20 | 11 | 9 | +101 | 31 |
| თსუ | 20 | 11 | 9 | +79 | 31 |
| მაკაბი | 20 | 7 | 13 | -132 | 27 |
| სსუ | 20 | 3 | 17 | -505 | 23 |
| ქუთაისი | 21 | 0 | 21 | -836 | 21 |

**რეგულარული ჩემპიონატი**

26 თებერვალი

ლეიკერსი 101:103 საკრამენტო

დალასი 115:91 სან ანტონიო

ვაშინგტონი 95:87 ჩიკაგო



# ქევხიშვილმა წონა დააგრძნა



ეროვნული ბიბლიოთეკა

*დავით ქევხიშვილს ტრავმის გადამკიდე შარშანდელი სეზონი მთლიანად ჩაუვარდა. მაგრამ ახალგაზრდა ძიუდოისტისთვის ცუდმა პერიოდმა ჩაიარა და ხალიჩაზე ხმაურით დაბრუნდა — პარიზის სუპერ-A კატეგორიის საერთაშორისო ტურნირზე ვერცხლი აიღო და ათენის ოლიმპიადისთვის საჭირო ქულათა გროვებასაც შეუდგა. მარაგი ბუდაპეშტსა და ჰამბურგშიც გაამდიდრა. წინ კი კიდევ ოთხი ტურნირია და არც თუ შორეულ წარსულში ერთ-ერთ უსუსტეს წონად მიჩნეულ 73 კილოგრამზე უკვე საწუწუნო აღარაფერია. ჰამბურგიდან დაბრუნებულ „ქევხოს“ გუშინ გავესაუბრეთ*

— იძულებითი დასვენების შემდეგ წარმატებით დაბრუნების იმედი თუ გქონდა?

— ერთის მხრივ ძნელი იყო. ექვსი თვე არ მეჭიდავა და წარმატების დიდი იმედიც არ უნდა მქონოდა. თუმც ყველაფერი ეს უდიდესმა სურვილმა, მონდომებამ და ხალიჩის მონატრებამ გადაძლია.

— სრული დატვირთვით ვარჯიში ზედ პარიზის ტურნირის წინ დაიწყე. თავად ჩათვალე, რომ უკვე მზად იყავი?

— თავიდან არ მინდოდა, პარიზში წასვლა და შოთა ხაბარელსაც ვუთხარი, უნგრეთიდან ხომ არ დამეწყო-მეთქი, მაგრამ მან მირჩია მოცდა აღარ გვინდაო და გაამართლა კიდეც.

— უკვე სამ დიდ ტურნირში იჭიდავე. ტრავმას ხომ არ შეუხსენებია თავი?

— პატარა ტკივილები ახლაც მაქვს, თუმც სრული დატვირთვით ვარჯიშში ხელს არ მიშლის. როგორც ექიმები ამბობენ, მძიმე ოპერაციის შემდეგ ეს კანონზომიერი მოვლენაა. ასე რომ, საშიში არაფერია. ექვსი თვე გამიცდა, მაგრამ რომ არა ზურაბ კახაბრიშვილის გვერდში დგომა, სარეაბილიტაციო პერიოდი კიდევ უფრო გაიწელებოდა.

— პარიზის შემდეგ ბუდაპეშტსა და ჰამბურგში იჭიდავე. შენი აზრით, ამ პერიოდში პროგრესი განიცადე?

— ტურნირიდან ტურნირამდე ფორმაში შევდივარ, მაგრამ ამავდროულად ცოტა დამღლელიცაა. ოლიმპიადის წელია და საერთაშორისო ტურნირებს განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება. თან ერთმანეთზე მიწყობილი და ერთის გამოტოვებამაც კი შეიძლება მნიშვნელოვნად დაგხიოს უკან. ფსიქოლოგიური დატვირთვა, მგზავრობა და დროში სხვაობები ძნელი შესაგუებელია, თუმც საჭიდაო განწყობა და მონდომება თავისას შვრება და ყოველგვარი დაბრკოლების გადალახვაში მეხმარება.

— ძველ, საუკეთესო ფორმაში მყოფ ქევხიშვილამდე ბევრი გიკლია?

— ახლა სულ სხვანაირად ვჭიდაობ. შეიძლება ისეთ ფორმაში ჯერ ვერ ვარ, მაგრამ სამაგიეროდ ფსიქოლოგიური დაძაბულობა უკვე აღარ მაწევს. წლების წინ წარმატებებს ძირითადად ახალგაზრდული შემართებისა და ჟინის ხარჯზე ვაღწევდი, ახლა კი გამოცდილებაც მომემატა, დაძაბულობაც მომეხსნა.

— უნგრეთსა და გერმანიაში ერთსა და იმავე მოჭიდავესთან წააგე.

— ამერიკელ ჯიმი პედროს მანამდე არასოდეს შევხვედროდი. ძალიან ეშმაკი მოჭიდავეა. მსოფლიოც მოუგია და ოლიმპიური მედალიც. უნგრეთში საკმაოდ ადვილად დამამარცხა, გერმანიაში კი შედარებით თანაბარი ბრძოლა იყო. იმედია, მესამედ მე დავჯაბნი, ჯერჯერობით კი უხერხულ მეტოქედ ითვლება.

— ზემოთ გამოცდილება ახსენე და ალბათ ამაში მოწინააღმდეგეთა ჭიდაობის სტილების შესწავლაც იგულისხმა...

— რა თქმა უნდა, ყველა ტაქტიკას თავისი გასაღები უნდა მოუძებნო. ბევრს პირველივე შეხვედრისას ვატყობ, როგორ უნდა ვეჭიდავო. ამას შოთა ხაბარელის მითითებებიც ემატება, რომელიც იქვე დგას და ყველა წვრილმანს ხედავს.

— ჰამბურგული ბრინჯაოთი ოლიმპიურ ლიცენზიას კიდევ უფრო მიუახლოვდი. დარჩენილ ტურნირებში რა შედეგები იქნება საკმარისი?

— ახლა 135 ქულით მესამე ადგილზე ვარ და შესაძლოა, საკმარისიც იყოს, მაგრამ ამის იმედად ყოფნაც არ შეიძლება. წინ კიდევ ოთხი სალიცენზიო შეჯიბრია და თუნდაც ერთი მედალი ალბათ ათენის საგზურს მომიტანს. თან ჩეხეთის ტურნირამდე ორკვირიანი შესვენებაა და ძალების მოკრებასაც მოვასწრებ.

— ვარჯიშს ამ დღეებშივე შეუდგები?

— ჰამბურგის ტურნირის შემდეგ სიცხემ ამიწია და გერმანიაში გამართულ ერთობლივ ვარჯიშებშიც ველარ მივიღე მონაწილეობა. ახლაც შეუძლოდ ვარ და თან ოჯახური პრობლემების გამო ყვარელში მიწევს წასვლა. თბილისში კვირას დავბრუნდები და იმედია, სრული დატვირთვებისთვისაც მზად ვიქნები. თუ შევძელი, მანამდე სოფელში, ჩემს აღმზრდელ როინ მალალთაძესთანაც ვივარჯიშებ.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# ფოთიდან ევროოქრო ჩანს

**ოლიმპიური** ლიცენზიების მომპოვებელმა ორმა ქართველმა მოკრივემ ნიკოლოზ იზორიამ (51კგ) და კონსტანტინე კუპატაძემ (57კგ) ხორვატიულ პულაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე გუშინ ნახევარფინალები იკრივეს.

მადა ჭამაში მოდისო და ერთი ფავორიტის დამცემი თბილისელი კუპატაძის ფრანგ კედაპი ჯელკირთან გამარჯვება ბევრმა ვადაზე ადრე ირწმუნა. შეიძლება თავად კონსტანტინემაც, შედეგი კი საპირისპირო მიიღო და ქართველიც ბრინჯაოს დასჯერდა.

სამაგიეროდ, კვლავ იმარჯვა იზორიამ და ფინალის საგზურიც მოიპოვა. 18 წლის ფოთელმა ამჯერად პოლონელ ანჟეი რჟანს სძლია 27:15 და ოქროსთვის რუს გეორგი ბალახინეს ხვალ დაუპირისპირდება.



# ბოულინგმა წაგებულსაც ასიამოვნა

**ქართველებს** ბოულინგი სისხლში და ხორცში გამჯდარი არა გვაქვს, მაგრამ ამ სახეობის პოპულარობა და მოყვარულთა რიცხვი ნელ-ნელა იზრდება. უკვე შიდა ჩემპიონატებიც იმართება და ბოულერთა რიცხვიც მატულობს.

ტრადიციად იქცა ჟურნალისტთა შორის ტურნირებიც. წლეულს ორგანიზატორებმა მასმედია სამ ნაწილად გაყვეს. რამდენიმე კვირის წინ ტელეჟურნალისტები გააჯიბრეს ერთმანეთს, გუშინ „მწერლები“, მალე რადიოებსაც მოუყრიან თავს, ბოლოს კი სამივე მინიტურნირის გამარჯვებული საუკეთესოს სამთა ფინალში გამოავლენს.

მწერალთა შორის გუშინ გაზეთმა „24 საათმა“ იმარჯვა. ფინალში მან უმცროს ძმას „12-მდეს“ სძლია და სხვადასხვა სახის ალკოჰოლურ სასმელთან ერთად სუვენირები და რესტორან „ძველ სახლში“ ერთი კარგი ქეიფიც მოიგო.

პრიზების გარეშე არც ბოლო ადგილებზე გასულები დარჩენილან. ვინ იცის, იქნებ ტურნირის ანტირეკორდისა და უარესი შედეგის ჩვენებაზე არანაკლები ბრძოლაც გამართულიყო, ამისთვის ჯილდოდ დაწესებული იაპონური რესტორნის ორკაციანი „ლიცენზიის“ შესახებ მონაწილეებს ადრევე რომ სცოდნოდათ. ეს პატივი „სარბიელის“ სამკაციანი გუნდის ლიდერს ერგო, რომელსაც სროლა არ წაუვიდა.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# ვილნევი წავიდა

## მსოფლიოს ჩემპიონი არავის უნდა

**ძნელად დასაჯერებელი ამბავია — მსოფლიოს ჩემპიონი უმუშევარი დარჩა. კანადელ ჟაკ ვილნევის BAR-იდან წასვლა შარშან ოქტომბერში გაცხადდა, ამდენად იყო დრო და იმედიც, რომ ფორმულა 1-ის 1997 წლის ჩემპიონს რომელიმე სხვა გუნდი მიიწვევდა. მაგრამ შეივსო კარსმომდგარი სეზონის ყველა ვაკანსია და „სამეფო რბოლების“ ერთ-ერთი უნიჭიერესი პილოტისთვის ადგილი არსად არ აღმოჩნდა. ჟაკის მოხსნის მიზეზი მაღალი ხელფასი და დაბალი შედეგიანობა გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 100 რბოლაში ერთხელაც ვერ გაიმარჯვა, ყოველთვიურად მილიონნახევარ დოლარს მაინც უხდიდნენ. რა მისი ბრალია, თუ საშუალო გაქანების „ბარის“ ბედაურით მოგება შეუძლებელი იყო. მაგრამ რას იზამ, ბოსის სიტყვა კანონია...**



ჟაკ ვილნევი ფორმულა 1-ის ბოლიდის საჭეს პირველად 1995 წლის ზაფხულში მიუჯდა „სილვერსტოუნზე“, იმ ტრასაზე, სადაც 18 წლით ადრე შედგა მამამისის დებიუტი.

*„უსაზღვროდ ვამაყობ მამაჩემით, მაგრამ მე მეორე ჟილ ვილნევი არ ვარ, მე ჟაკი მქვია. ყოველი გამარჯვებისას რომელიმე ჟურნალისტი აუცილებლად მეკითხებოდა, ამ დროს ვიხსენებდი თუ არა მამას და ეს საშინლად მაღიზიანებდა. თუმც ერთი-ორჯერ მართლაც გავიფიქრე — მამა ცოცხალი რომ იყოს, ალბათ ჩემით იამაყებდა.“*

ჟაკი 11 წლის იყო, მამამისი ბელგიაში, ზოლდერის ტრასაზე კვალიფიკაციისას რომ დაიღუპა 32 წლისა. ჟილი, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ჩემპიონობა ვერ მოიპოვა და მხოლოდ 67 ეტაპზე მოასწრო გაჯიბრება, თავისი ყველასგან გამორჩეული, ვირტუოზული, თუმც ზედმეტად რისკიანი და ფეთიანი პილოტაჟის წყალობით სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა.

უმცროსი ვილნევი, რომელიც ასეთ სახიფათო ხელობას გაჰყვა, ამ უმწარესი მაგალითის შემდეგ შეუძლებელია სიკვდილ-სიცოცხლის მეზობლობაზე არ ფიქრობდეს:

*„სიკვდილის არ მეშინია. სისულელეა იმის შიში, რაც გარდაუვალია. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მზად ვარ დღესვე მოვკვდე. მე მიყვარს სიცოცხლე და ის პატარა სიხარულები, რომლისგანაც ის შედგება. რა თქმა უნდა, რისკი ჩვენი პროფესიის განუყოფელი ნაწილია და მუდმივ საშიშროებას ნიშნავს, მაგრამ თუ მის სიკვდილთან დაკავშირებას იწყებ, გიჯობს ტრასაზე საერთოდ არ გამოჩნდე. რისკი ჩემთვის უდიდესი სიამოვნებაა და სწორედ ეს მიზიდავს რბოლაში, როცა ჩქაროსნულ მოსახვევში მანქანა ოდნავღა ეხება ტრასას და ძლივს აკავებ, მაგრამ მაინც არ აგდებ სიჩქარეს და დასაშვების ზღვარზე ბალანსირებას აგრძელებ. როცა უმცირეს არასწორ მოძრაობას ღმერთმა უწყის, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს. ვინმე ამას სიგიჟეს დაარქმევს, მაგრამ შენ ხომ ყველაფერს აკონტროლებ და ამ სიამოვნებას ვერაფერი შეედრება.“*

თავის გიჟმაჟ (ცხადია, ტრასაზე) და ფათერაკიან მამისგან განსხვავებით, რომელიც ლამის ყოველ მესამე რბოლისას ავარიაში ხვდებოდა და იმდენი მანქანა დალეწა, რამდენიც სხვამ არავინ, ჟაკს ბედი სწყალობს. მეამბოხე ხასიათისა და სისწრაფის თანდაყოლილ გრძნობასთან ერთად იგი უფრო ანგარიშიანია. ერთადერთი უმძიმესი ინციდენტი 2001 წელს ავსტრალიაში შეემთხვა. მელბურნის „ალბერტ პარკში“ ჯირითისას უზარმაზარ სიჩქარიანი მისი „ბარი“ რალფ შუმახერის „უილიამსს“ უკნიდან ეძგერა და ჰაერში აფრენილი დამცავ ბარიერს მიეხეთქა. ჟაკი არ დაშავებულა, მის დალეწილ ბოლიდიდან მომტვრეული ბორბალი კი ტრასის მარშალს მოხვდა და სიცოცხლეს გამოასალმა. 29 წლის უნებლიე მკვლელმა მომხდარი, რასაკვირველია, მწვავედ განიცადა — რამდენიმე დღე შოკში იყო.

### ოქროს ხანა

ჟაკ ვილნევის ავტოკარიერა 15 წლის წინ იტალიური და იაპონური ფორმულა 3-ის კლასით დაიწყო, მერე კი უფრო მძლავრი და სწრაფი მანქანების დრო მოვიდა. ჯერ იყო ორი ბრწყინვალე სეზონი ამერიკულ „კარტში“. პირველივე წელს — საუკეთესო დებიუტანტის წოდება, ერთი მოგება, საერთო მეექვსე ადგილი და საპრიზო მილიონი დოლარი. 1995 წელს ხუთჯერ გაიმარჯვა, მათ შორის ოკეანისგალმელთა საკულტო, ინდიანაპოლისის 500-მილიან მარათონში და „კარტში“ ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი გახდა. ამის შემდეგ „სამეფო რბოლების“ დაპყრობის ჯერი დადგა, რასაც ასევე არაბუნებრივად ცოტა — მხოლოდ ორი სეზონი მოანდომა.

ჟაკის საფორმულო დებიუტი 1996 წელს შედგა „უილიამსში“. 16 ეტაპიდან ოთხში იმარჯვა და საერთო ჩათვლაში მხოლოდ თანაგუნდელ დეიმონ ჰილს ჩამორჩა. ხოლო მომდევნო, თავის „ოქროს“ სეზონში შვიდი ეტაპი მოიგო და უმძიმეს ბრძოლაში მიხაელ შუმახერის ძლევით „დიდი ცირკის“ 26-ე გვირგვინოსანი შეიქნა.

*„ავტომრბოლი რომ არ გავმხდარიყავი, ვფიქრობ, ჩემგან არც ისე ურიგო სამთო მოთხილამურე დადგებოდა. ესეც ხომ ისეთივე საკაიფოა, როგორც რბოლა, სიჩქარესაც ნაკლებად არ გრძნობ. თანაც თხილამურები — ეს ხომ თავისუფლებაა.“*

„ჟაკი ძალიან ნიჭიერი და უშიშარი ბიჭი იყო. ეჭვი არ მეპარება, ავტოსპორტის ნაცვლად სამთო თხილამურები რომ აერჩია, დღეს მსოფლიოს თასის მფლობელი იქნებოდა“ — ირწმუნება კრეიგ პოლოკი, ვილნევის პირველი მწვრთნელი, რომელიც შემდგომ მისი საუკეთესო მეგობარი და პირადი მენეჯერიც გახდა.

*„რვა წლიდან კრეიგი ჩემი მასწავლებელი იყო, მერე კი დავმეგობრდით კიდეც. მამაჩემის დაღუპვის შემდეგ ის ჩემთვის აღმზრდელიც გახდა და უფროსი ძმაც. მისგან ძალიან ბევრით ვარ დავალებული.“*

ჟაკი მხოლოდ თხილამურებით როდია გატაცებული. იგი მეფორმულეთა შორის ერთ-ერთი ყველაზე ერუდირებული, ინტელექტუალური პიროვნებაა. საათობით შეუძლია იჯდეს კომპიუტერთან, კომპაქტდისკების ვეებერთელა კოლექცია აქვს, გიტარაზეც უკრავს და ჭაბუკობაში ლექსებსაც წერდა. მას ხშირად ნახავთ წიგნით ხელში, რაც მძღოლებში იშვიათია.

*„ჩემი თაობის ჩვეულებრივი ახალგაზრდა ვარ. ბოლო 15 წელი თითქმის არ შევცვლილვარ. როგორც ვიყავი, ისევე დავრჩი ბიჭად. მეცინება ხოლმე, როცა ხალხი სხვანაირად მელაპარაკება მხოლოდ იმიტომ, რომ უკვე მეოთხე ათწლეულში გადავდექი.“*

ჩაცმულობაც ბიჭური აქვს: ფართხუნა შარვალი, ამოჩაჩული მაისური, კედები, მუდამ გაუპარსავია და თმასაც სხვადასხვაფრად იღებავს.

რამდენიმე წლის წინ ჟაკმა მონრეალის პრესტიჟულ რაიონში გახსნა საკუთარი რესტორანი — „ნიუ თაუნ“ (ახალი ქალაქი). მისი გვარი ფრანგულიდან სწორედ ასე ითარგმნება. მალე რესტორანი პოპულარული გახდა და მულტიმილიონერ მეპატრონისთვის არცთუ მცირე დამატებითი შემოსავლის წყაროდ იქცა.

### მტერი ბოსი

ტრიუმფალური 1997 წლის შემდეგ ჟაკ ვილნევის კარიერის დაღმასვლა დაიწყო, რაც აშკარად გამოჩნდა „უილიამსზე“ ბევრად სუსტ „ბარში“ გადაჯდომის მერე. კრეიგ პოლოკი 1999 წელს „ბარის“ მფლობელი გახდა და, ბუნებრივია, პირველი პილოტი ჟაკი უნდა ყოფილიყო. იმანაც მეგობარ-მენეჯერს უარი ვერ უთხრა და სწორედ ეს გახდა მისთვის მთავარი საკარიერო შეცდომა. არადა, იმ დროს „მაკლარენზეც“ იყო ლაპარაკი, მაგრამ რაც მოხდა, მოხდა. სამი წლის შემდეგ კი პოლოკი დევიდ რიჩარდსმა შეცვალა.

*„გუნდიდან მაშინვე უნდა წავსულიყავი, როგორც კი რიჩარდსი ჩაუდგა სათავეში. მან ჩემი ცხოვრება აუტანელი გახადა, დღითი დღე გეგმაზომიერად მანადგურებდა. იგი ჩემზე მხოლოდ ცუდს ამბობდა და მალე ყველა, მათ შორის ბერნი ეკლსტოუნიც დაარწმუნა, რომ არაფრის მაქნისი ვარ. როდესაც ბერნის დახმარებისთვის მივმართე, მიპასუხა, რომ ჩემს მოვალეობას ცუდად ვასრულებ და თუ ფორმულაში დარჩენა მინდა, საქმისადმი დამოკიდებულება უნდა შევცვალო.“*

არადა, „ბარში“ რიჩარდსის მისვლით, ვილნევს იმედი მიეცა, რომ საჯინიბოსთვისაც და პირადად მისთვისაც უკეთესი დრო დადგებოდა. დღეს კი 51 წლის ბოსს უპირველეს მტრად თვლის.

როგორც კი რიჩარდსმა ბარელთა საბუღალტრო წიგნში ჩაიხედა, ჟაკის ყოველწლიური თითქმის ოცმილიონიანი ჯამაგირი ეცა თვალში. შეფის აზრით, მართალია, ვილნევის დონის და მიღწევების პილოტის სამსახური შესაფერისად უნდა დაფასდეს, მაგრამ მისი შედეგები იმხელა ხელფასს ვერ შეესატყვისებოდა. „მიღწევა“ მეშვიდე ადგილია (2000), შარშან კი მხოლოდ მე-16 იყო.

ბრიტანელმა ბოსმა გუნდის გადახალისების მიზნით ლიდერად ვილნევზე ცხრა წლით უმცროსი თავისი თანამემამულე ჯენსონ ბატონი გამოაცხადა, რამაც ჟაკი უზომოდ გააცეცხლა. იგი ფიქრობს, რომ ბატონი დაუმსახურებლად განადიდეს, მას ხომ ჯერ [illegible] მოუწყვეტია. რიჩარდსი კი თავისას ერეკებოდა, „ბარი“ მხოლოდ მოიგებს, თუკი ჟაკის ოცმილიონიან ტვირთს მოიცილებსო. კონფლიქტში ბოლო წვეთი შარშანდელი სეზონი აღმოჩნდა: ვილნევმა 15-დან რვა რბოლაში ფინიშამდე ვერ მიაღწია და გუნდს მხოლოდ ექვსი ქულა შესძინა მაშინ, როცა ბატონის ანგარიშზე თითქმის სამჯერ მეტი — 17 ქულა იყო. ჟაკის ბედი გადაწყდა, მისი ბოლიდი ტაკუმა სატოს მისცეს.

*„რიჩარდსი ბოლო მომენტამდე სწორედ რომ დამცინოდა, რადგან სატოსთან კონტრაქტის გამოცხადებამდე ორი დღით ადრეც კი მარწმუნებდა, რომ ჩემთან მუშაობა სურს. მერე კი დამამცირებელი, მიუღებელი წინადადება შემომთავაზეს — უხელფასოდ უნდა მერბოლა. „ბარს“ ლამის მთელი კარიერა შევწირე და ასეთ უპატივცემულობას ნამდვილად არ ვიმსახურებდი.“*

ამიტომაც იყო, რომ მაშინვე მიატოვა გუნდი და დასკვნით, იაპონურ ეტაპზე აღარ გამოსულა, რიჩარდსისნაირი ხალხისთვის სიცოცხლის გაწირვას არ ვაპირებო.

*„ბარში ბოლო ორი წელი აუტანელი იყო, ძალიან დავიღალე და ხანგრძლივი დასვენება მჭირდება. რბოლის სურვილი შეიძლება დამიბრუნდეს, ოღონდ რომელიმე ტოპსაჯინიბოში. მაგრამ თუ 2004 წელს არავის ვუნდოდი, რაღა გაისად დაინტერესდებიან ჩემით.“*

წლის ბოლოს რამდენიმე წამყვან გუნდში ადგილები გათავისუფლდება. ვილნევის ფანებსაც იმედი აქვთ, რომ მათი კერპით აუცილებლად დაინტერესდებიან. ახალი ცნობა ჟაკელთა გულის გასახარად — რალფ შუმახერს „უილიამსთან“ კონტრაქტი წლეულს ეწურება, გაგრძელებაზე მოლაპარაკება კი ჩიხში მოექცა. გერმანელი ყოველთვიურ ორმილიონიან ხელფასს ითხოვს, ახლანდელზე ნახევარი მილიონით მეტს, რასაც სერ ფრენკ უილიამსი კატეგორიულად უარობს. თუკი ორივე მხარე ბოლომდე თავისაზე იდგება, რალფს სხვა გუნდის მოძებნა მოუწევს. მაშინ „უილიამსში“ ორივე ადგილი გამოთავისუფლდება, ხუან-პაბლო მონტოია ხომ გაისად „მაკლარენით“ ირბოლებს.

ერთი სიტყვით, დაბრუნების შანსი არცთუ მცირეა. ოღონდ დაბრუნებაც ისეთივე უნდა იყოს, როგორიც დებიუტი — ელვისებური და ტრიუმფალური. სხვა დანარჩენზე აღარც დრო, აღარც ძალა და სურვილი.



–მამა ჩემით იამაყებდა





–დევიდ რიჩარდსმა ჩემი კარიერა გაანადგურა

# გუგამ თვალი გაახილა და პირი გააღო



**OPEN 13**
მარსელი. ჰარდი
საპრიზო 593 750 $

**მეორე წრე**

**მარკ როსე** (შვეიცარია) — გილერმო კორია (2, არგენტინა) 7:6 (7:2), 6:1; **მაქს მირნი** (4, ბელარუსი) — სირილ სოლნიე (საფრანგეთი) 6:4, 6:4; **ფერნანდო გონსალესი** (5, ჩილე) — იარკო ნიემინენი (ფინეთი) 6:2, 6:3; **დომინიკ ჰრბატი** (სლოვაკეთი) — ალ კოსტა (6, ესპანეთი) 7:5, 4:6, 7:6 (7:5); **არნო კლემანი** (7, საფრანგეთი) — ოლივიე როხუსი (ბელგია) 7:6 (10:8), 7:6 (7:1); **იონას ბიორკმანი** (შვედეთი) — მარატ საფინი (8, რუსეთი) 7:6 (7:5), 7:5; **ალბერტო მარტინი** (ესპანეთი) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 6:3, 6:3; **რობინ სოდერლინგი** (შვედეთი) — გრეგორი კარა (საფრანგეთი) 6:3, 6:4

ტურნირიდან ნაადრევად გაბუნძულებულ ხუან კარლოს ფერეროს იმ დღეს გილერმო კორია და მარატ საფინიც მიჰყვნენ. კორიამ დიდი ჩოგბურთიდან თითქმის „გადამდგარ“ შვეიცარიელ მარკ როსესთან დათმო, ზორბა თათარრუსმა კი ვერაფერი გააწყო დასტურ ალმაფრენით მოჩოგნავე იონას ბიორკმანის წინააღმდეგ.

33 წლის როსეს, ვინაც ტურნირის სამგზის (1993-94, 2000) ჩემპიონია, ვინგინდავინ ზეათეულელ მეჩოგნესთან 2000 წლის მაისის შემდგომ აღარ მოეგო. ის და მასზე თორმეტი წლით უმცროსი კორია ერთმანეთს პირველად შეხვდნენ და 1992 წლის ოლიმპიურ ჩემპიონს ბეჯითი მოწოდების გარდა იმანაც გაამარჯვებინა, რომ ჯიშად მეთიხნარე არგენტინელმა საწინაკვირაო ბუენოსაირესული თიხნარობის შემდეგ მარსელურ ჭერქვეშა მაგარსაფართან გაჩვევა ვერ მოასწრო.

რაც შეეხება იონას ბიორკმანს, მარატ საფინის ძლევით მან მესამე დიდი საამსეზონო სკალპი მიითვალა. ავსტრალიის ღია პირველობის წლევანდელი ფინალისტის გარდა მან წლეულს დოჰაობაზე ენდი როდიკი, ხოლო დევისთასის პირველ წრეში მარკ ფილიპუსისიც გაამასქნა.

საინტერესოა, რომ ბიორკმანისა და საფინის პირველ ოთხ მატჩში სკვითს ემარჯვა, ბოლო სამში კი უკვე შვედი უპირატესობს. ჩანს, მის თამაშს ჩოგანი მოვარგეო, ხითხითებდა ის იმდღევანდელი მოგების შემდეგ.

სხვაფრივ — ფერეროს მაოტარი გრეგორი კარა თვითონ მისდარად ჯანიან შვედ რობინ სოდერლინგს ემსხვერპლა. [illegible] მხოლოყოჩად დარჩა არნო კლემანი, ვისაც — მის მიერ შარშან მეცში მოგებულ და ლიონში წაგებულ ფინალებს თუ გავითვალისწინებთ — მშობლიურ ნიადაგზე ნათამაშებ უკანასკნელ 12 მატჩში ერთი მარცხის წილ უკვე 11 გამარჯვება დაუგროვდა.

**ბრაზილიის ღია პირველობა**
კოსტა დუ საუიპე. თიხნარი
საპრიზო 380 ათასი $

**მეოთხედფინალი**

**გუსტავო კუერტენი** (3, ბრაზილია) — ფრანკო სკილარი (არგენტინა) 3:6, 7:5, 7:5; **აგუსტინ კალიერი** (4, არგენტინა) — ხუან იგნასიო ჩელა (8, არგენტინა) 6:3, 3:6, 6:3; **ლუის ორნა** (პერუ) — გალო ბლანკო (ესპანეთი) 6:1, 7:6 (7:5); **ხოსე აკასუსო** (არგენტინა) — ტომას ბერენდი (გერმანია) 0:6, 6:2, 6:4

გუსტავო კუერტენს ერთი ნაბიჯიღა აკლია, რათა ბოლო სამ კვირაში თავის მეორე ფინალს უწიოს. საამისოდ მან არგენტინელ აკასუსოს უნდა აჯობოს, ვინაც, თავის მხრივ, ტურნირიდან კარლოს მოიას გამგდები ტომას ბერენდი დაიმორჩილა. მეორე საფინალო საგზურისთვის კი პერუელი ორნა და არგენტინელი კალიერი იპაექრებენ. ორნა ამ კვირამდე მხოლოდ ერთ საამსეზონო გამარჯვებას დაიკვეხდა, ხოლო კალიერის დოჰაობის ნახევარფინალშიც უჩოგნავია.

**DUBAI DUTY FREE**
მაგარსაფარი. 585 ათასი $

**მეოთხედფინალი**

**ჟუსტინ ენენ-არდენი** (1, ბელგია) — კონჩიტა მარტინესი (8, ესპანეთი) 6:1, 6:0; **სვეტლანა კუზნეცოვა** (რუსეთი) — ვინუს უილიამსი (2, აშშ) 6:2, 6:3; **მეგან შონესი** (აშშ) — ანასტასია მისკინა (4, რუსეთი) 7:6 (7:2), 4:6, 6:3; **აი სუგიამა** (5, იაპონია) — ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) 6:1, 6:3

ვინუს უილიამსი აშკარად რომ ვერაა ძრავაზე, ეგ ამბავი ჯერ კიდევ მაშინ გამოჩნდა, ექვსი თვის ნაუქმევ-ნატრავმებმა ავსტრალიის ღია პირველობის მესამე წრეში თვისტომ ლაიზა რეიმონდთან რომ ჩაიფლავა. მერე ის ტოკიოში გახლდათ და სანამ თვისტომსავე ჩანდა რუბინს სამეოთხედფინალოდ შეეხლებოდა, მარჯვენა ფეხი დაიჭიმა. ამის გამო მან კიდევ ორიოდ კვირა იუქმა და დუბაიში რომ ჩაფრინდა, ქომაგებს იმედი მიეცათ, ვაი თუ ახლა მაინც რამეს გამორჩესო.

ვერ გამორჩა. 18 წლის რუსმა სვეტლანა კუზნეცოვამ, რომელსაც მძლავრი ხელუკუღმა, სოლიდური [illegible] ბარაქიანი გლაჯუნი გამოარჩევს, ის თავიდანვე წნეხში მოაქცია და მანამდე ურტყა, სანამ „პირსახოცი არ გადმოაგდებინა“.

ვეცდები, ამ ამბავს პოზიტიურად შევხედოო, იძახდა ნამატჩევს ვინუსი და მაიამობამდე კიდევ რამდენიმე კვირას დავისვენებო, მერე ასე დასძენდა.

რაც შეეხება შარშანდელ ჩემპიონსა და ამქრის ამჟამინდელ ჭინკა პირველოსან ჟუსტინ ენენს, მან იმ დღეს კვლავ კაცურად იბაირამა. კონჩიტა მარტინესის საუკეთესო წლები უკვე კარგა ხანია, მხოლოდ საქმეში ჩახედული ხალხის მეტი არავის ახსოვს და ამდენად ეს 6:0, 6:1 ნურავის გაუკვირდება.

**ლევან ძელაურაძე**



**NHL**

## რეგულარული ჩემპიონატი

# ძმა ძმისთვისო, ალიყურისთვისო!

— 26 თებერვალი —

**ტამპა 4:3 ტორონტო**
*2:1 1:1 1:1*

1:0 კუბინა (10), 2:0 რიჩარდსი (13), 2:1 მოგილნი (14), 3:1 რიჩარდსი (22), 3:2 სუნდინი (23), 4:2 ლეკავალიე (47), 4:3 ნუინდაიკი (58)

„ტამპაზე“ გემრიელ ჰოკეის დღესდღეობით ლიგაში ვერავინ თამაშობს. ამაზე ფაქტებიც მეტყველებს. 3 იანვრის შემდეგ ჩატარებულ 24 მატჩში „ელვებმა“ 106 (!) გოლი გაიტანეს. ასეთი შედეგი ყველა სხვა გუნდისთვის მიუწვდომელია.

მარტო გოლებში როდია საქმე. ტამპელთა ყოველი მატჩი სანახაობაა, რომელშიც ინტრიგაც არის, ლამაზი შეტევებიც, უკომპრომისო ბრძოლაცა და უხვგოლიანობაც. და ეს ის შემთხვევა როდია, შაიბების უმეტესობა მცველებისა და მეკარეების შეცდომების გამო რომ გადის — „ტამპას“ შეტევა ყოველთვის ჯაბნის მეტოქის დაცვას. „ტამპა“ ხშირად იგებს, თავი უკვე პლეი ოფში დაიგულა და თავდაჯერებაც მოემატა. ახლა ყველაზე მოუხერხებელ მეტოქესთანაც კი არ იხრის წარბს. თუნდაც „ტორონტო“ ავიღოთ. მასთან „ელვებს“ წინა 10 თამაშში ვერ მოეგოთ, მაგრამ ამან ხელი სულაც ვერ შეუშალათ.

„ვფიქრობ, ყველამ დაინახა, რა შორს წავიდა ჩვენი გუნდი. კარგად ვშრომობთ და ნაყოფსაც ვიმკით“ — თქვა კმაყოფილმა მწვრთნელმა.

[illegible]
*0:3 2:3 1:0*

0:1 ლიჩი (3), 0:2 იაგრი (5), 0:3 ჰოლიკი (11), 0:4 იაგრი (21), 0:5 საიმონი (23), 0:6 საიმონი (27), 1:6 ნიინიმაა (32), 2:6 ჩერკავსკი (38), 3:6 ბუტენშონი (42)

6 თამაში და 6 მარცხი — ასეთია „აილენდერსის“ უფროს ძმასთან, „რეინჯერსთან“ შეხვედრის წლევანდელი შედეგი. არადა, რაკი ამ გუნდების ბოლო ჯახი „აილენდერსის“ მოედანზე შედგა, გუნდიც და მისი გულშემატკივრებიც რევანშს გეგმავდნენ. მით უმეტეს, რომ წინა მატჩში ბევრი ჩხუბიც იყო. თუმც ამჯერად ბრძოლის ნასახიც კი ვერ ვნახეთ. 27-ე წუთისთვის სტუმრები უკვე 6:0 იგებდნენ. თან „აილენდერსისთვის“ ყველაზე სამარცხვინო ის იყო, რომ ორი გოლი კრის საიმონმა გაიტანა, აყლაყუდამ, რომლისგანაც ყველაზე მეტი მოხვდათ წინა შეხვედრაში აილენდერსელებს. პირველ პერიოდში ერიკ კეირნსმა სცადა საიმონთან გამკლავება, მაგრამ ჩხუბში ვერ აჯობა და მეტჯერაც თავად დაჯარიმდა. სანამ კეირნსი საჯარიმოთა სკამზე იჯდა, ბობი ჰოლიკმა მესამე გოლი გაიტანა და საბოლოოდ გატეხა მეტოქე.



REUTERS ბოსტონიდან

მეკარე და შაიბა
**მონრეალელ ჟოზე თეოდორს „ბოსტონთან“ დიდი ჯაფა დაადგა**

**ვანკუვერი 3:2 სან ხოსე**
*0:1 1:0 1:1 1:0*

[illegible] (34), 3:2 სოპელი (63)

**კალგარი 1:2 დეტროიტი**
*0:1 0:1 1:0*

0:1 უიტნი (17), 0:2 ტომასი (36), 1:2 კობასიუ (53)

**კოლორადო 2:2 სენტ ლუისი**
*1:0 1:2 0:0 0:0*

1:0 ჰეიდუკი (4), 2:0 ჰეიდუკი (22), 2:1 დრეიკი (36), 2:2 ტკაჩუკი (39)

**ნეშვილი 4:0 მინესოტა**
*1:0 1:0 2:0*

1:0 ჰემპიუსი (10), 2:0 სალივანი (38), 3:0 ორზაგი (41), 4:0 იუჰანსონი (49)

**ბოსტონი 2:3 მონრეალი**
*1:2 1:0 0:0 0:1*

0:1 პერო (11), 1:1 ლაპოინტი (16), 1:2 რაიდერი (20), 2:2 გრინი (21), 2:3 რიკე (64)

**ოტავა 1:1 ფილადელფია**
*1:1 0:0 0:0 0:0*

1:0 ჰოსა (7), 1:1 განიე (12)



**ლინარესის სუპერტურნირი**

ესპანეთი. 19 თებერვალი - 5 მარტი

**VII ტური**

პეტერ ლეკო (უნგრეთი) — ალექსეი შიროვი (ესპანეთი) 1:0
გარი კასპაროვი (რუსეთი) — ფრანსისკო ვალეხო (ესპანეთი) 1:0
ვლადიმერ კირამნიკი (რუსეთი) — ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) 1:0
*თეიმურაზ რაჯაბოვმა (აზერბაიჯანი) დაისვენა*

# გაუშიშვლე და იბატონე

გუშინ ვწერდით, კასპაროვი რომ ვერ იგებს, ხანგრძლივი დასვენების ბრალია და მსოფლიოს მე-13 ჩემპიონი ბრჭყალებს მალე გამოაჩენსო. ეს ვარაუდი დიდოსტატმა მომავალ ტურშივე გაამართლა.

37 სვლა გაუძალიანდა ახალგაზრდა ესპანელი ფრანსისკო ვალეხო მსოფლიოს ნომერ პირველ მოჭადრაკეს. თავიდან ვალეხომ სერიოზული წინააღმდეგობა შეჰკადრა გარის და საკუთარი მეფეც საიმედოდ ჩარაზა. თუმც კასპაროვმა რამდენიმე ფიგურის გაცვლის შემდეგ შავების ხელმწიფეს დაცვა შემოაძარცვა და შამათიც ჩაუსვა. ტურნირზე პირველი გამარჯვების შემდეგ კასპაროვი ლიდერ ლეკოს ნახევარ ქულამდე დაუახლოვდა.

ტურის ყველაზე უხვსვლიანი შეხლა ლეკოსი და შიროვისა იყო. არადა, მეტოქეებმა შეხვედრა ისე დაიწყეს, თვალყურმადევრებმა იფიქრეს, ესენი დაფაზე ფიგურას არ დატოვებენო. ფიგურების საწყისი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ უპირატესობას თანდათან შიროვი დაეუფლა და 25-ე სვლაზე d ხაზზე მოძრავი პაიკი თეთრების ჩასათვლელ ნიშნულებს ორ ნაბიჯზე მიუახლოვა. თამაში მოიერიშე პაიკის გარშემო გაგრძელდა და მის სიახლოვეს მძიმე არტილერიამ მოიყარა თავი. მაგრამ 14 სვლაში უნგრელმა შეძლო გაესპანელებული ებრაელის გატეხვა და სტრატეგიული უპირატესობაც მოიპოვა. ასეთ შანსებს კი ლეკო ნაკლებად უშვებს ხელიდან და 54-ე სვლაზე ტურნირზე მეორე გამარჯვება ჩაიწერა.

მოიგო კლასიკური ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონმა კრამნიკმა. იმ დღეს მისი მეტოქე ტოპალოვი საკმაოდ დაბნეულად გამოიყურებოდა და ვლადიმერს დასაწყისშივე შეეძლო მისი დამარცხება, თუმც სიფრთხილე გამოიჩინა გამარჯვება 37-ე სვლამდე „გადადო“.

**ლაშა გეგეჭკორი**

| | | |
|---|---|---|
| 1 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 4 ქულა/6 თამაში |
| 2 | ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) | 3,5/6 |
| 3 | გარი კასპაროვი (რუსეთი) | 3,5/6 |
| 4 | ალექსეი შიროვი (ესპანეთი) | 3/5/6 |
| 5 | ფრანსისკო ვალეხო (ესპანეთი) | 2,5/6 |
| 6 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 2,5/6 |
| 7 | თეიმურაზ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) | 2/6 |



როგორც იქნა, გარი კასპაროვმა მოიგო



REUTERS ლოს ანჯელესიდან

# მერე რა, რომ წააგე!



REUTERS ლოს ანჯელესიდან

„ლეიკერსისა“ და „საკრამენტოს“ თამაში ლოს ანჯელესში სტუმრებს მოუგიათ სამი ქულით. თუმცა ამის გამო დიდად ნაწყენი არ ჩანან „ლეიკერსის“ კინოვარსკვლავი ქომაგები ანა ნიკოლ სმიტი და ქონდრისკაცი დენი დე ვიტო. ქალი ტუჩებზეც კი დაჰკონებია დიდ კოძიკოსს.

# კაბადი

ბოლო ხანია ვითარება თბება ერთმანეთთან მოდავე ინდოეთსა და პაკისტანს შორის. სპორტი კი დამეგობრების მთავარი ელჩია. ჯერ ინდოელები ეწვივნენ პაკისტანელებს კრიკეტის მატჩებით, ახლა კი ესენი ჩასულან რავალპინდიში კაბადიში (ჩვენებურ ორდროშას ჰგავს) შესარკინებლად. თამაში პაკისტანს მოუგია 42-35.



REUTERS რავალპინდიდან

# ვერა

სამხრეთ ნახევარსფეროში გახურებულა ზე-12, სამი ქვეყნის მორაგბეთა მოწინავე გუნდების საუცხოო შეჯიბრი. [illegible] „[illegible]“ [illegible] „ქეთზს“ ხვდება, სურათი კი იმნაირი მოვიდა იქიდან, რომ აფრიკელმა გერჰარდ ვოსლომ აუტის მოსაგებად ასტყორცნა კლენიან ტროში, იმას კი ბურთი გაუვარდა ხელიდან.



REUTERS



REUTERS ლიმადან

# პერუს მზადება

პერუს პრეზიდენტი ალეხანდრო ტოლედო ლიმელ მობურთალ ბიჭებს შორის ჩამდგარა და თავის საფეხბურთო უნარებს აჩვენებს. ტოლედომ გამოაცხადა, რომ ქვეყანა 5 მილიონ დოლარს გაიღებს სტადიონების შესაკეთებლად, რახანდა პერუ „კოპა ამერიკას“ შეჯიბრს უმასპინძლებს მომავალ ივლისს. პრეზიდენტმა იქავე დაურთო, რომ ყოველ თამაშზე ათასი ღატაკი ბავშვი უფასოდ შევა სტადიონზე.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხოძერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოხელიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge